ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 113 (11724)
კვირა,
15
მაისი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირის წინ

ნ. ს. ხრუშჩოვი პარიზს გაემგზავრა

14 მაისს დილაადრიან გამოცოცხლება სუფევდა ვნუკოვოს აეროდრომზე. აქ შეიკრიბნენ მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, აგრეთვე უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები.

ვნუკოვოს აეროდრომი მორთულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. მოსკოველებმა განსაკუთრებული გულითადობით გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი პარიზს ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირზე.

საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ერთად უმაღლესი დონის თათბირზე გაემგზავრნენ დელეგაციის წევრები — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი, აგრეთვე დელეგაციის მრჩევლები და ექსპერტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ქ. ე. ვოროშილოვმა, ნ. გ. იგნატოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებმა ი. ს. კოდიცამ, ი. ი. პალეცკისმა, მ. რ. რახმატოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. თ. ზასიადკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, დ. თ. უსტინოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა ა. ა. ანდრეევმა, ს. მ. ბუდიონიმ, სსრ კავშირის მინისტრებმა, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საბჭოთა კავშირის მარშლებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი გაფრენის წინ გულთბილად გამოეთხოვა გამცილებლებს. როცა იგი მიუახლოვდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების მრავალრიცხოვან ჯგუფს, გაისმა მქუხარე ტაში. მოსკოველებმა უსურვეს ნიკიტა სერგის-ძეს მშვიდობით მგზავრობა და წარმატებანი მომავალ თათბირზე.

„ილ-18“ თვითმფრინავი ჰაერში ავიდა და კურსი აიღო დასავლეთისაკენ. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი პარიზში ჩავიდა

პარიზი, 14 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი პარიზში ჩამოვიდა ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

მასთან ერთად ჩამოვიდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი და საბჭოთა მთავრობის მეთაურის თანმხლები პირები.

ორლის აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვს საფრანგეთის მთავრობის სახელით შეხვდნენ უპორტფელო მინისტრი როჟე ფრე და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი, საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, რომლებიც აკრედიტებული არიან საფრანგეთში. საზოგადოების ტრიბუნებზე შეიკრიბა მრავალი პარიზელი, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მეთაურის მისასალმებლად მოვიდნენ.

აეროდრომი მორთულია თათბირის მონაწილე ოთხი სახელმწიფოს სახელმწიფო ალმებით. საბჭოთა მთავრობის მეთაურის პატივსაცემად ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს, ამ დროს ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნები. შემდეგ იგი მივიდა მიკროფონთან, რომელიც დადგმულია საპატიო სალონის წინ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მიკროფონთან გააკეთა განცხადება.

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემთვის მეტად სასიამოვნოა, რომ კვლავ ჩამოვედი პარიზში, სტუმართმოყვარე საფრანგეთის დედაქალაქში, რომლის ამასწინანდელმა ნახვამ ესოდენ კარგი და გულთბილი მოგონებანი დამიტოვა. მინდა ერთხელ კიდევ მოვახსენო მადლობა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გენერალ შარლ დე გოლს, საფრანგეთის სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწეებს, მთელ ფრანგ ხალხს განსაკუთრებით გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის, რომელიც მოგვიწყეს საფრანგეთში ვიზიტის დროს, მრავალი წერილისა და მისალმებისათვის, რომლებმაც დიდად გაგვახარა.

დიდი ფრანგი ხალხის ბევრ წარმომადგენელთან შეხვედრებმა და საუბრებმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკის ხალხები მხურვალედ ესწრაფვიან მშვიდობას, ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

საუბრებმა, რომლებიც პრეზიდენტ დე გოლთან მქონდა, ბევრი რამ სასარგებლო მოგვცა; ამ საუბრებმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ მთავრობათა მეთაურების შეხვედრები მეტად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობის განვითარების საქმეში.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ყველა ფრანგს გადავცე საბჭოთა კავშირის ხალხების, საბჭოთა მთავრობის მხურვალე სალამი და საფრანგეთის შემდგომი აყვავებისა და დიდების სურვილები.

აქ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა მომავალ შეხვედრას უაღრესად მაღალ დონეზე დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ცხოვრებაში. ჩვენი წარსული შეხვედრების შემდეგ ჩვენ ყველანი უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და, იმედი მაქვს, ეს ხელს შეუწყობს თათბირის წარმატებით მუშაობას. ჩვენ უნდა განვიხილოთ ყველაზე მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები და შევეცადოთ გამოვნახოთ ყველა ხალხის ინტერესებისათვის მათი გადაჭრის გზები.

თუმცა ყველა ხალხს უეჭველად სურს მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გააძლიერეს აქტივობა გავლენიანმა წრეებმა, რომლებიც ისწრაფვიან განაახლონ „ცივი ომი“, ხელი შეუშალონ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას.

იმედი ვიქონიოთ, რომ მათს ღონისძიებებს წარმატება არ ექნება, და ისეთი საკითხების განხილვა, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღება, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაცია, და გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა, საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის სასარგებლო შედეგებს მოგვცემს.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რაოდენ დიდ იმედს ამყარებენ ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრაზე მთელი მსოფლიოს ხალხები, და საბჭოთა მთავრობა იხმარს ყველა ღონისძიებას, რათა თათბირს წარმატება ექნეს, რათა მან გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება.

* * *

შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი თანმხლები პირები გაემართნენ სსრ კავშირის საელჩოში.

მთელ გზაზე ორლის აეროდრომიდან ქალაქამდე საფრანგეთის დედაქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები მხურვალედ მიესალმებოდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

ხალხმრავალ მიტინგებზე, რომლებიც მიძღვნილია სესიის მასალების განხილვისადმი, მშრომელები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ სავსებით იწონებენ საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას და აღშფოთებული არიან აგრესიული გამოხდომით — საბჭოთა ტერიტორიაზე ამერიკის თვითმფრინავის შემოჭრით. — ჩვენ აღშფოთებულები ვართ იმიტომ, აცხადებენ ტრიბუნებიდან მშრომელები, — რომ, ჩვენი აზრით, შეუთავსებელია განცხადებანი მშვიდობისადმი მისწრაფების შესახებ და პროვოკაციული გამოხდომები, რომლებიც ახალი ომის საფრთხეს ქმნიან. ჩვენ აღშფოთებული ვართ იმიტომ, რომ ეს საზიზღარი პროვოკაცია მოხდა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირის მოწვევის წინ.

მიტინგებზე ერთსულოვნად იწონებენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა უმაღლესი დონის თათბირზე მიდის წმინდა გულითა და კეთილი ზრახვებით, რათა მიაღწიოს ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებს.

* * *

— **საბჭოთა** ცა სუფთა უნდა იყოს, — ამბობენ მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები. ისინი ერთსულოვნად ხმას აძლევენ რეზოლუციას, რომელიც გმობს ამერიკის სამხედრო ხროვის თავხედურ პროვოკაციას.

სურათი კ. ტოლსტნიკოვისა.

მწერალთა გულისწყრომა

საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა სახელდახელო მიტინგი რომელიც მიეძღვნა ამერიკის სამხედრო ხროვის ამასწინანდელ პროვოკაციულ მოქმედებას.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანმა რ. მარგიანმა.

— ჩვენ ქართველი მწერლები — განაცხადა მან, — მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად უდიდეს გულისწყრომას გამოვთქვამთ ამერიკელი მეკობრის ავანტიურისტული მოქმედების გამო, რომელმაც უხეშად დაარღვია ჩვენი საჰაერო სივრცე და ჯაშუშური მიზნით შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში. ქართველი მწერლები მრისხანე პროტესტს გამოთქვამენ იმპერიალისტთა ავანტიურისტული მოქმედების გამო.

— ჩვენში განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს იმ ამერიკელ ხელისუფალთა უსირცხვილო განცხადება, — ამბობს მიტინგზე გამოსული მწერალი ა. ბელიაშვილი, — რომლებიც არა მარტო ამართლებენ მომხდარ აგრესიას, არამედ აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს შემდგომშიც განაგრძოს ასეთი დაზვერვა.—საბჭოთა ხალხს მტკიცედ სწამს,— ამბობს მიტინგზე გამოსული ვ. ჭელიძე, — რომ ჩვენი მთავრობა, ჩვენი შეიარაღებული ძალები ბოლოს მოუღებენ ყოველ აგრესორს, რომელიც შეეცდება ჩვენი საზღვრების დარღვევას.

— ამერიკელი იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობენ გააღვივონ „ცივი ომი“, — განაცხადა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა, — მაგრამ ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა ყოველთვის იმარჯვებდა და კვლავაც გაიმარჯვებს.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს გ. შატბერაშვილმა, მ. მაჭავარიანმა და სხვ.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: ჩვენ, ქართველი მწერლები, სავსებით ვუჭერთ მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ვგმობთ ამერიკელ იმპერიალისტთა ახალ პროვოკატორულ გამოხდომას, რომელიც მიმართულია კომუნიზმის მშენებელი ხალხის წინააღმდეგ.

ნებას არ მივცემთ!

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხროვის თავხედურმა აგრესიულმა მოქმედებამ მრისხანე აღშფოთება გამოიწვია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებში. აქ გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით გამოსულმა მოწინავე მუშამ ა. სოზიაშვილმა განაცხადა:

— ოკეანეს გაღმელი აგრესორები ცეცხლს ეთამაშებიან, მათი თვითმფრინავი შემოიჭრა ჩვენი სამშობლოს საჰაერო სივრცეში. მაგრამ იმპერიალისტები ანგარიშში მოტყუვდნენ, მამაცმა საბჭოთა მეომრებმა ჰაერის მეკობრე ჩამოაგდეს. ომის გამჩაღებელთა უგუნური ცდები განწირულია ჩასაფუშავად.

მიღებულ რეზოლუციაში ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამერიკელ აგრესორებს, მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

აგრესორი მხილებულია

ძნელია გადმოვცეთ ის სიხარული, რასაც განვიცდიდი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის დღეებში. მე თვითონ ვიყავი მონაწილე იმ ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიღებისა, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ხალხის ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესებისაკენ.

დეპუტატები მეტად აგვაღელვა ცნობამ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ამერიკის თვითმფრინავის ვერაგულად შემოჭრის შესახებ. ვუსმენდით ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვს, რომელმაც გვიჩვენა ამერიკის თვითმფრინავის აღჭურვილობა და ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული მიზნის მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოააშკარავა ამერიკელ აგრესორთა ჯაშუშური მოქმედება. იმპერიალისტ აგრესორებს არასოდეს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ საბჭოთა სახელმწიფო ასე ძლიერი არასოდეს არ ყოფილა, როგორც ახლაა. მას შეუძლია არა მარტო მოიგერიოს აგრესიის დარტყმა, არამედ საკადრისი პასუხიც გასცეს მისსავე ტერიტორიაზე.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად, გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოთქვამენ ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დარღვევის გამო და პირობას აძლევენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და პირადად ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვს, რომ კიდევ უფრო თავდადებით იშრომებენ შვიდწლედის დიად ამოცანათა შესრულებისათვის.

ნ. მამაიაშვილი,
წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემომაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გულითადი მილოცვები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს იულიუს რააბს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავის გამო. დეპეშაში საბჭოთა მთავრობისა და პირადად თავისი სახელით იგი გულითადად ულოცავს და საუკეთესო სურვილებს უთვლის ავსტრიელ ხალხს.

დეპეშაში ნ. ს. ხრუშჩოვმა იმედი გამოთქვა, რომ ორივე ქვეყანას შორის დამყარებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამ წლისთავთან დაკავშირებით მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ პრეზიდენტს ადოლფ შერფს, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრს ბრუნო კრეისკის.

(საქდესი).

ავიაციის მთავარი მარშლის ქ. ა. ვერშინინის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის უფროსს გენერალ თომას დ. უაიტს

პატივცემულო ბ-ნო გენერალო,

როგორც იცით, მე ამა წლის 29 აპრილის წერილში მადლობით მივიღე თქვენი მიწვევა—ჩამოვიდე შეერთებულ შტატებში როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალთა სტუმარი.

თქვენთვის ცნობილ ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით მე საჭიროდ ჩავთვალე ხელახლა გადავსინჯო ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი მოგზაურობის საკითხი და მინდა გულახდილად გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი ამის გამო.

ვფიქრობ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ამჟამად წარმოიქმნა არახელსაყრელი პირობები, რათა წარმატებით განხორციელდეს ის მიზნები, რომლებიც დასახულია ამგვარი ვიზიტების დროს.

ამ ვითარებაში, ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა გადაიდოს ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო შესაფერის დრომდე.

ვიმედოვნებ, ბ-ნო გენერალო, თქვენ მართებულად გაიგებთ იმ მოტივებს, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი, როცა გიგზავნიდით ამ წერილს.

პატივისცემით ქ. ვერშინინი
ავიაციის მთავარი მარშალი.
1960 წლის 12 მაისი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მუჰამედ დაუდი

13 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი, რომელიც სამკურნალოდ და დასასვენებლად იმყოფება საბჭოთა კავშირში, და საუბარი ჰქონდა მასთან. რომელშიც აღძრული იყო საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები. საუბარმა გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

საუბარს ავღანეთის მხრივ დაესწრნენ: ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაქიმ შაჰალანი, დაგეგმვის მინისტრის მოადგილე აბდოლჰეი აზიზი.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის

საკავშირო თათბირის წინ

◆

14 მაისს თბილისში დამთავრდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მეცნიერ მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირი წარმოებაში სოფლის მეურნეობის გაძღოლისა მეცნიერულად დასაბუთებული სისტემისა და მექანიზაციის დანერგვის საკითხებზე. თათბირი, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა მოიწვია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. თათბირები ასეთივე დღის წესრიგით ეწყობა ზონების მიხედვით სხვა რესპუბლიკებშიც. ეს თათბირები წარმოადგენენ მზადებას სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სრულიად საკავშირო თათბირისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში, სადაც თათბირი მიმდინარეობდა, იყვნენ მოსკოვის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების თვალსაჩინო მეცნიერები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

თათბირი გახსნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ამხ. **ნ. მაისურიანმა**.

მოხსენებანი სოფლის მეურნეობის განლაგების, სპეციალიზაციისა და თავთავიანთ რესპუბლიკებში მისი გაძღოლის სისტემის საფუძვლების შესახებ გააკეთეს: სომხეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **ა. აირუმიანმა**, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ამხ. **ა. ორუჯევმა**, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ამხ. **ბ. ჟღენტმა**.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. **ი. ჯაშმა**, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **მ. გაგოშიძემ**, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. **ი. ალიევმა**, აზერბაიჯანის მებამბეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **გ. სიდოვმა**, აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **ი. იბად-ზადემ**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მრავალწლიანი კულტურების განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა ამხ. **ნ. ხომიზურაშვილმა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **გ. უხვაცაბაიამ**, სომხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ამხ. **გ. აღაჯანიანმა** და სხვებმა.

თათბირმა მიიღო ღონისძიებანი საქართველოს, აზერბაიჯანის, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შესახებ. ამ ღონისძიებებს განიხილავს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომავალი სრულიად საკავშირო თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **შ. ქანუყვაძემ** და სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **გ. სტეფანიანმა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. **გ. ხეხნიაშვილმა**.

(საქდესი).

იმპერიალისტებს მივეზღოთ

ფოთი. („კომუნისტის“ კორ.). ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც მშრომელები თავიანთ გულისწყრომას გამოთქვამენ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეების ახალი პროვოკაციული გამოხდომის გამო.

— ჩვენი კოლექტივის თვითეული წევრი, — განაცხადა ფოთის ნავსადგურის ხალხმრავალ მიტინგზე მეამწემ ა. მირცხულავამ, — სასტიკად გმობს ამერიკელი აგრესორების პროვოკაციულ მოქმედებას, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ფარგლებში გამოგზავნეს სამხედრო თვითმფრინავი ჯაშუშური დავალებებით. იმპერიალისტებს სათანადოდ მივეზღოთ. დაე ეს მკაცრი გაკვეთილი იყოს იმათთვის, ვინც ხელს აღმართავს ჩვენი წმიდათა-წმიდა სამშობლოს წინააღმდეგ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან მტვირთავი გ. ტორძელაძე, გაგანოველი ი. ამარგარძიევა და სხვები. მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, და კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის გამო.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: ფოთის ნავსადგურის მუშაკები თავდადებული შრომით განვამტკიცებთ საყვარელი სამშობლოს ძლიერებას. ამ მიზნით ვალდებულებას ვკისრულობთ ყოველდღიური საწარმოო დავალება 130—160 პროცენტით შევასრულოთ.

საბჭოთა მთავრობის პროტესტი შვეიცარიის მთავრობისადმი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა 13 მაისს შვეიცარიის ელჩს სსრ კავშირში ა. ცენდერს გადასცა საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა შვეიცარიის მთავრობისადმი იმ პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ, რაც შვეიცარიის ხელისუფლებმა ჩაიდინეს შვეიცარიაში საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელთა მიმართ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ შვეიცარიის პოლიციის ორგანოებმა ქალაქ ციურიხში სრულიად უსაფუძვლოდ დააკავეს 10 მაისს და დაჰკითხეს შვეიცარიაში საბჭოთა კავშირის საელჩოს ორი თანამშრომელი თითქოს ნებადაურთველი საქმიანობისათვის, თუმცა ამ უაზრო ბრალდების არავითარი დამამტკიცებელი საბუთი მათ არ წარმოუდგენიათ. 11 მაისს ქალაქ ბერნში დააპატიმრეს და გამოჰკითხეს სსრ კავშირის საელჩოს შოფერს.

საბჭოთა მთავრობა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს წინაშე მხილებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვაშინგტონში სასწრაფოდ მიიღეს ღონისძიებანი, რათა როგორმე ჩამოაშორონ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება სასკანდალო მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდნენ ამერიკის მთავრობა და ამერიკის სადაზვერვო სამსახური.

სწორედ ამ დროს, აღნიშნულია ნოტაში, შვეიცარიის პოლიციის ხელისუფლებმა იკისრეს არასახარბიელო როლი აშკარა პროვოკაციის ორგანიზებაში საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელთა წინააღმდეგ და მათ უხეში ბრალდებანი წაუყენეს. (საქდესი).

ვიყოთ კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

საქართველოს სტუდენტთა აქტივის კრება

საქართველოს სტუდენტთა აქტივის კრებამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, განიხილა საკითხი: კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სტუდენტ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ.

შესანიშნავ დროს მიმდინარეობს ჩვენი შეკრება, — ამბობს ამხ. შევარდნაძე. — ამას წინათ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ, რომლის გადაწყვეტილებებსაც უაღრესად მხურვალედ გამოეხმაურნენ მსოფლიოს ყველა კუთხეში. ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტობა და მთელი ახალგაზრდობა, ისევე როგორც მათი დები და ძმები დიდ მადლობას უძღვნიან მშობლიურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს კიდევ უფრო ბედნიერ მომავალზე ნამდვილი მამობრივი ზრუნვისათვის.

საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის მრავალათასიანი არმია ყოველთვის მხურვალედ ეხმაურება პარტიის ყოველ მოწოდებას, პირნათლად ასრულებს მის ყველა დავალებას. ბეჯითად ეუფლებიან რა მეცნიერების საფუძვლებს, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაში შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის.

ამჟამად, როცა კომუნისტური პარტია სახავს ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანას, სტუდენტი ახალგაზრდობის უპირველესი მოვალეობაა ზედმიწევნით დაეუფლოს მეცნიერებათა საფუძვლებს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას, რადგან უმისოდ არ შეიძლება გავხდეთ კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

კომკავშირმა, განაგრძობს მომხსენებელი, ისეთივე ადგილი უნდა დაიკავოს, ისეთივე ავანგარდული როლი უნდა შეასრულოს მოზარდი თაობის აღზრდაში, როგორსაც ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სწორედ აქ არის საჭირო მებრძოლი სულისკვეთება, გამბედაობა და ინიციატივა, რაც სჩვევია ლენინურ კომკავშირს. საჭიროა ინდივიდუალური მუშაობა ვაწარმოოთ ყოველ ქალიშვილთან და ჭაბუკთან, რადგან მხოლოდ ასე მოვახდენთ გავლენას მათი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე. ჯერ კიდევ არასაინტერესო და უშინაარსო, ზოგჯერ ფორმალურია კომკავშირული კრებები და სხვა ღონისძიებანი, კომკავშირელმა აქტივისტებმა მეტი მოსაზრება და ინიციატივა, გამბედაობა, სიბეჯითე უნდა გამოიჩინონ; ისინი მოწოდებული არიან ახალგაზრდობის ნამდვილი წინამძღოლები იყონ.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ახალგაზრდობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ, აგრეთვე ჩვენი ახალგაზრდობისათვის ისეთი შეუფერებელი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის ამორალიზმი, უპრინციპობა, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის, კოლექტივიზმის პრინციპების უპატივცემლობა. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ. კომკავშირული ორგანიზაციები საკმარისად არ ზრუნავენ იმისათვის, თუ როგორ დაისვენოს ახალგაზრდობამ კულტურულად, არ ზრუნავენ მისი სულიერი და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ახალგაზრდობა უნდა გახდეს კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი.

ამხ. შევარდნაძემ დასასრულ ილაპარაკა ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებზე.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

პირველი გამოვიდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ა. სანებლიძე.** ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, თქვა მან, ჩვენი ქვეყნის ყველა ჭაბუკთან და ქალიშვილთან ერთად იბრძვიან იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა საბჭოთა ახალგაზრდობას. სტუდენტთა სწავლების მთელი საქმე, მათ შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ემსახურება ერთ დიად მიზანს — მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, კომუნიზმის ნამდვილი მშენებლები.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის დირექტორმა, დოცენტმა **ი. გიორგბერიძემ.** მან ილაპარაკა იმ დიდ როლზე, რაც შეასრულა მოზარდი თაობის სწავლების საწარმოო შრომასთან კავშირის გაძლიერების იმ პროგრამის განხორციელებამ რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს. მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, და უკვე თვალნათლივ ჩანს სწავლების სისტემის გარდაქმნის უპირატესობანი.

სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა **ს. ქოჩიევამ** ილაპარაკა საშეფო მუშაობის შესახებ, რასაც სტუდენტები ეწევიან ოლქის ბევრ საწარმოსა და კოლმეურნეობაში.

აქტივის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ვ. თოფურიას** გამოსვლას. მან აღნიშნა, რომ სტუდენტის სახელი ჩვენს ქვეყანაში საპატიოა, იგი ბევრ რამეს გვავალებს, ამიტომ საბჭოთა სტუდენტი უნდა ცდილობდეს ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა, გახდეს არჩეული დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. იმისათვის, რომ კარგი სპეციალისტი გახდე, საჭიროა სისტემატური და გულმოდგინე სწავლა. ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობაც სწორედ ასე იქცევა. მაგრამ ჯერ კიდევ არის უმნიშვნელო ნაწილი ისეთი სტუდენტებისა, რომლებსაც ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენს ქვეყანას სჭირდება დიდად განვითარებული ადამიანები. ასეთ სტუდენტებთან საჭიროა ვეწეოდეთ გულისხმიერ აღმზრდელობით მუშაობას, მივაღწიოთ იმას, რომ უკლებლივ ყველა სტუდენტი ამართლებდეს თავის საპატიო სახელს.

იმ ახალგაზრდა მუშათა შესახებ, რომლებიც დაუსწრებლად იღებენ უმაღლეს განათლებას, ილაპარაკა № 7 სამკერვალო ფაბრიკის მუშამ, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებლად მოსწავლე **ი. გოგავამ.** თბილისის საწარმოთა ათასობით ახალგაზრდა მუშა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია. მათი უმრავლესობა წარმატებით ათავსებს ერთმანეთთან შრომასა და სწავლას. ორატორი მოუწოდებს აქტივის მონაწილეებს მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ უმაღლეს სასწავლებელთა და საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ახალგაზრდა კინორეჟისორის **რ. ჩხეიძის** სიტყვა. მან ილაპარაკა ქართველ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებით გეგმებზე. კინოხელოვნება მოწოდებულია შეასრულოს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საპატიო ამოცანა. ქართულმა კინემატოგრაფიამ შექმნა მთელი რიგი კარგი ფილმები ახალგაზრდობის თემატიკაზე. მაგრამ უკანასკნელ ხანს გამოშვებული ზოგიერთი ფილმი ვერ უპასუხებს საბჭოთა მაყურებლის მოთხოვნებს.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტმა **ე. მაჭავარიანმა** თავის სიტყვაში თქვა: ჩვენი სტუდენტები მუსიკის პროპაგანდას ეწევიან სამრეწველო საწარმოებში და სოფლის მშრომელთა შორის, აწყობენ გამსვლელ ლექციებსა და კონცერტებს, რომელთა თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი **ზ. ღუდუნიშვილი** შეეხო სტუდენტ-მედიკოსთა საჭირო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ დისციპლინაში სახელმძღვანელოებს დიდი დაგვიანებით უშვებენ ან სრულიად არ უშვებენ.

კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ტ. როგაჩოვამ** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ აფხაზეთის კომკავშირელები საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებებს. სტუდენტები დიდ როლს ასრულებენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური დონის ამაღლებაში. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოაწყეს მუშათა ფაკულტეტი, სადაც ამზადებენ მუშებს უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. მუსიკალური სკოლის მოსწავლეები ეხმარებიან მხატვრული თვითმოქმედების სკოლების კოლექტივებს.

ტრიბუნაზეა სპორტის დამსახურებული ოსტატი, რესპუბლიკური ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის" საბჭოს თავმჯდომარე **ბ. პაიჭაძე.** სტუდენტი სპორტსმენები, ამბობს იგი, დიდ ძალას წარმოადგენენ რესპუბლიკის ფიზკულტურულ მოძრაობაში. საქართველოს ბევრი ნაკრები გუნდი დაკომპლექტებულია სტუდენტებით, რომლებსაც არაერთხელ დაუცავთ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის უმნიშვნელოვანეს სასპორტო შეჯიბრებებში სამშობლო სპორტის ღირსება. მაგრამ სტუდენტთა სპორტულ მოძრაობას ნაკლოვანებებიც აქვს. მათ შორის მთავარი ის არის, რომ ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სპორტში ჩაებათ მთელი სტუდენტი ახალგაზრდობა.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ჭახრაკია,** რომელმაც ილაპარაკა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის განხორციელების პირველ შედეგებზე, იმაზე, თუ როგორ ვითარდება უმაღლესი განათლება საქართველოში. უახლოეს წლებში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღება გადიდდება ოთხჯერ, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — ცხრაჯერ. ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაიწყებს ინჟინერ-პედაგოგების მომზადებას, გაიხსნება საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებანი ბათუმის, სოხუმის, სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 13-ათასიანი კოლექტივის სახელით კრებაზე გამოვიდა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ნ. რუხაძე.** მან ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებსაც ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია ახორციელებს სტუდენტ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, დასვენების კარგი მოწყობისათვის.

შეკრებაზე გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ს. პავლოვი.** ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დავალებით იგი გულითადად მიესალმა კრების მონაწილეებს და გადასცა უაღრესად გულწრფელი და საუკეთესო სურვილები.

დღეს, თქვა მან, საქართველოს სტუდენტთა აქტივი განიხილავს დიდმნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდა ადამიანის, ჩვენი სტუდენტობის აღზრდასთან. ჩვენს ქვეყანაში მართლაც იზრდება ახალი ადამიანი, სოციალისტური საზოგადოების ადამიანი, თავისი სამშობლოს მხურვალე პატრიოტი.

ჩვენს შეკრებაზე გაცხოველებული ლაპარაკია ჩვენი სტუდენტობის აღზრდაზე. საქმე ეხება ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდას ძირითადად წარმოებაში. ეს არის კარგი ადამიანის აღზრდის აუცილებელი პირობა, რადგან შრომაში ყალიბდება კომუნისტური მსოფლმხედველობა, მაღალი ზნეობრიობა და სიმტკიცე.

ჩვენი სტუდენტები შორის იხედებიან წინ, არ სჯერდებიან იმას, რაც აქვთ. ისინი სწავლობენ ახალ პრობლემებს, ახალ ტექნიკას, ისწრაფვიან გახდნენ მართლაც სრულფასოვანი სპეციალისტები — პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთულ და დიდ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი, ვიჩენთ გულგრილობას. სტუდენტთა შორის ცოტა როდია ისეთი, რომელიც პატივს არ სცემს თავის პროფესიას, უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს და თავისი ცოდნის პროფილით როდი მუშაობს. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ცოტას ვგზავნით უმაღლეს სასწავლებლებში კომკავშირული საგზურებით, იმათ, ვინც წარმოებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს. ჩვენ გვინდა არა მარტო ვიწრო პროფესიის სპეციალისტები, არამედ ნამდვილი პოლიტიკური ორგანიზატორები, რომლებსაც შეუძლიათ პრაქტიკაში გამოიყენონ მარქსისტულ-ლენინური თეორია.

კომკავშირის წინაშე დასახულია მაღალი კულტურის ადამიანის აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ გვაქვს ახალგაზრდობის დასვენების, მისი კულტურული მომსახურების კარგად მოწყობის უდიდესი შესაძლებლობანი. ჩვენი აგიტბრიგადების გამოსვლებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ახალგაზრდობის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და კინოთეატრები, რომლებიც ყოველთვის სავსეა ახალგაზრდობით. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევქმნათ ახალგაზრდული კაფეები, სადაც შეიძლებოდეს დასვენება, ახალი გაზეთის, ჟურნალის წაკითხვა, პოეტებთან, მწერლებთან შეხვედრა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია, განაცხადა დასასრულ ამხ. პავლოვმა, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე ერთსულოვნად მოიწონეს თქვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა ჩაის ფოთლის კრეფაში, ნარგავების სიმეჩხერის წინააღმდეგ ბრძოლაში. უთუოდ მთელ ჩვენს ქვეყანაში ჰპოვებს საყოველთაო მხარდაჭერას და კომკავშირული ორგანიზაციების გამოხმაურებას ქართველი ახალგაზრდობის თაოსნობა რესპუბლიკის ელექტრიფიკაციის საქმეში. ეს მეტად ძვირფასი ინიციატივაა. ბევრი შესანიშნავი საქმე მოელით უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირულ ორგანიზაციებს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია მუდამ იდგება ლენინური კომკავშირის ავანგარდში და კვლავაც იქნება ჩვენი დიადი პარტიის უაღრესად საიმედო და ერთგული თანაშემწე.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** გამოსვლას. ნება მიბოძეთ, ამბობს იგი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მივესალმო ჩვენს სტუდენტებს, მთელ მოსწავლე ახალგაზრდობას, რესპუბლიკის ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს და ვუსურვო მათ წარმატებანი შრომაში, სწავლაში, ბედნიერება და გამარჯვება ცხოვრებაში.

ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს. უფროსი თაობის ადამიანებს — ქალაქისა და სოფლის მშრომელების, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის კარგი ცვლა იზრდება. უყურებ ხალისიან ახალგაზრდებს — ქართველებსა და რუსებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, აფხაზებს და ოსებს, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლე ყველა ხალხის შვილებს, და გული გევსება უსაზღვრო სიხარულით, სიამაყითა და მადლობით ჩვენი კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ასეთ შესანიშნავ თაობას ზრდის.

ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა არაფერს არ იშურებენ ხალხის ბედნიერებისათვის, მთელ თავიანთ საქმიანობას ახმარენ ხალხის კეთილდღეობას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრდას. სწორედ საბჭოთა ადამიანებისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის ზრუნვით არის ნაკარნახევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებანი. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვანი და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სესიის ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებსაც ბადალი არ მოეპოვებათ კაცობრიობის ისტორიაში თავიანთი გაბედულობითა და ჰუმანურობით.

მთელი ჩვენი ხალხი გულისწყრომით შეხვდა აგრესიული მოქმედების იმ აღმაშფოთებელ ფაქტს, რაც ჩაიდინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც სსრ კავშირის ტერიტორიაზე თვითმფრინავი შემოგზავნეს დაზვერვის მიზნით. მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის, მათ შორის თვით ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია ამ პროვოკაციამ იმიტომაც, რომ იგი შეუფარდეს უმაღლესი დონის მომავალ თათბირს პარიზში. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებით შეასრულეს თავიანთი მთავრობის დავალება და პირველი დარტყმითვე ჩამოაგდეს მზვერავი თვითმფრინავი. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ დამშვიდებით და წმინდა გულით იცხოვრონ და იმუშაონ, რადგან მათთვის უზრუნველყოფილია მშვიდობიანი და მყუდრო შრომა.

ახლანდელისთანა ავტორიტეტი ჩვენს სახელმწიფოს არასოდეს არა ჰქონია. საბჭოთა მთავრობა, ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით დიდ და დაძაბულ ბრძოლას ეწევიან მშვიდობისათვის. ეს ესმით და შეგნებული აქვთ მთელი მსოფლიოს ხალხებს. საბჭოთა ადამიანების, ჩვენი ახალგაზრდობის — ყველა იმათი ამოცანა, ვინც საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ კუთხეში ცხოვრობს და შრომობს, ის არის, რომ თავიანთი საქმით, თავიანთი შრომით, თავიანთი მუშაობითა და სწავლით ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ამ მშვიდობისმოყვარულ, ლენინურ საგარეო პოლიტიკას.

უდიდესია ჩვენი ხალხის წარმატებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს აღტაცებაში მოჰყავს ჩვენი ქვეყნის მილიონობით მეგობარი საზღვარგარეთ, ჩვენი მტრების გააფთრებას იწვევს. საბჭოთა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს ამ წარმატებათა დაფასება, იგი უფროსი თაობის ადამიანთა ღირსეული მემკვიდრე უნდა იყოს.

აქ ბევრი ითქვა მოზარდი თაობის აღზრდაზე. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ჩვენ შესანიშნავი, ჩინებული ახალგაზრდობა გვყავს. მაგრამ მის აღზრდაში მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი გვაქვს. მიმდინარე წელს რამდენიმე სტუდენტი გაირიცხა უნივერსიტეტიდან და სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საბჭოთა მოსწავლისათვის შეუფერებელი ყოფაქცევის გამო. განა ამან არ უნდა შეაშფოთოს ჩვენი კომკავშირული აქტივი! ანდა ავიღოთ შემთხვევები, როცა უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი უარს ამბობენ გამოცხადდნენ სამუშაოზე დანიშნულებისამებრ. ეს არ ეპატიება ადამიანს, რომელიც მეცნიერების საფუძვლებს დაეუფლა.

ჩვენ, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ეტყობა, დიდი მუშაობა დაგვჭირდება მშობლებში. ჩვენს სტუდენტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც არა სურთ ისწავლონ, მაგრამ მშობლები არაფერს არ ზოგავენ, რომ უმაღლესი განათლების მქონე შვილი ჰყავდეთ. რამდენი გვაკლია ექიმი, მასწავლებელი რესპუბლიკის შორეულ რაიონებსა და პუნქტებში. განა დანაშაული არ არის მშობლების მხრივ, შვილებს რომ სამუშაოზე არ უშვებენ. ადამიანს, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო, უნდა ჰქონდეს ერთადერთი მიზანი — მთელი თავისი ცოდნა მოახმაროს ხალხს, ჩაებას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. ეს ძალიან დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ამავე დროს მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში უშვებენ შეცდომებს, აქვთ ნაკლოვანებანი. საჭიროა, რესპუბლიკის მთელი კომკავშირი და არა მარტო მისი ცალკეული ორგანიზაციები მუშაობდნენ ცოცხლად, საინტერესოდ, შეთანხმებულად, იძლეოდნენ ერთსულოვანი მჩქეფარე საქმიანობის ნიმუშებს.

ძალიან ბევრი რამ გააკეთა ჩვენმა სახელოვანმა ლენინურმა კომკავშირმა. ბევრი რამ გააკეთეს უკანასკნელ 3-4 წელიწადში ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელებმაც. ამჟამად მრეწველობაში — თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის ქარხნებსა და ფაბრიკებში მრავალი ახალგაზრდა მუშაობს. ასეულ ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ჩაება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. გაიზარდა დაუსწრებელ სტუდენტთა რიცხვი. ადამიანები მუშაობენ და სწავლობენ, სხვანაირად ახლა არც შეიძლება იყოს. კომკავშირი სულ უფრო აქტიურ დახმარებას უნდა უწევდეს პარტიულ ორგანიზაციებს მოზარდი თაობის შრომით აღზრდაში.

ჩვენ ამოცანად დავისახეთ რესპუბლიკის ყველა ქალაქი და სოფელი სანიმუშო გავხადოთ კულტურისა და კეთილმოწყობის მხრივ. ამ საქმეში დიდი თაოსნობის გამოჩენა შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებს. მომავალ წელს აღინიშნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი. ჩვენი ახალგაზრდობის ღირსების საქმეა ეს მნიშვნელოვანი თარიღი აღნიშნოს იმით, რომ ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის. ჩვენმა სტუდენტობამ უნდა გამოიჩინოს თავი ბეჯითი სწავლით, სანიმუშო კულტურით, მაღალი დისციპლინით, საზოგადოებრივ - სასარგებლო შრომაში უაღრესად აქტიური მონაწილეობით.

ვ. პ. მჟავანაძემ მოუწოდა ქართველ სტუდენტებს განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა სხვა რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებთან. თქვენ, თქვა მან, უნდა განაგრძოთ ქართველი ხალხის იმ გამოჩენილ მოღვაწეთა შესანიშნავი ტრადიციები, რომელნიც ჯერ კიდევ ცარიზმის შავბნელ დროში სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დროს მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდნენ სხვა ხალხების პროგრესულ წარმომადგენლებთან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენი პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით, ამ ურთიერთობამ უმაგალითო გაქანება მიიღო და ნამდვილ ძმობად იქცა. სტუდენტი ახალგაზრდობა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობის მოთავე და მქადაგებელი უნდა იყოს.

გაისმა თათბირის მონაწილეთა მხურვალე ტაში, როცა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ გამარჯვება უსურვა ჩვენს სახელოვან, შესანიშნავ ახალგაზრდობას და მის მოწინავე რაზმს — ლენინურ კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობის მზრუნველ დედას-საბჭოთა სამშობლოს, მშვიდობას მთელ მსოფლიოში, კომუნიზმის ზეიმს.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის მთელი სტუდენტი ახალგაზრდობისადმი.

(საქდესი).

• • •

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საქართველოს სტუდენტთა აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.

საბჭოთა კავშირის საპროტესტო ნოტები

პაკისტანის, თურქეთისა და ნორვეგიის მთავრობებისადმი

13 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო პაკისტანის ელჩი სსრ კავშირში ა. ჰილალი და გადასცა საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავის სსრ კავშირის ფარგლებში შემოჭრის გამო.

სსრ კავშირის მთავრობა პროტესტს უცხადებს პაკისტანის მთავრობას იმის გამო, რომ პაკისტანის ტერიტორია დაუთმო შეერთებულ შტატებს, რათა ამერიკის ავიაციამ აგრესიული აქტები განახორციელოს სსრ კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს, რომ თუ ამგვარი მოქმედება განმეორდება პაკისტანის ტერიტორიიდან, იგი იძულებული გახდება მიიღოს საპასუხო სათანადო ზომები.

• • •

13 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ხ. ბათუ და გადასცა საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ ამა წლის 1 მაისს სსრ კავშირის საზღვარი დაარღვია თვითმფრინავმა, რომლის მუდმივი ბაზა თურქეთში იყო.

საბჭოთა კავშირის მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, პროტესტს უცხადებს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას იმის წინააღმდეგ, რომ უცხოეთის სამხედრო თვითმფრინავებს შესაძლებლობა მისცა გამოიყენონ თურქეთის ტერიტორია საბჭოთა კავშირის ფარგლებში შეჭრის განსახორციელებლად. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გააფრთხილოს, რომ თუ თურქეთის ტერიტორიიდან განმეორდება ასეთი პროვოკაციები, იგი იძულებული გახდება მიიღოს სათანადო საპასუხო ზომები.

• • •

13 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ნორვეგიის ელჩი სსრ კავშირში ო. ჰ. გუნდერსენი და გადასცა საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა სსრ კავშირის ფარგლებში, ამერიკის საზვერავი თვითმფრინავის შემოჭრასთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობა პროტესტს უცხადებს ნორვეგიის მთავრობას იმის წინააღმდეგ, რომ შესაძლებლობას აძლევს უცხოეთის სამხედრო თვითმფრინავებს ნორვეგიის ტერიტორია გამოიყენონ საბჭოთა კავშირის ფარგლებში შემოჭრის მომზადებისა და შესრულებისათვის.

საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს, რომ თუ ნორვეგიის ტერიტორიიდან განმეორდა მსგავსი პროვოკაციები, იგი იძულებული გახდება მიიღოს სათანადო საპასუხო ღონისძიებანი. (საქდესი).

ოთხი აკადემიის საიუბილეო სესია

ბაქო, 12 მაისი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა სსრ კავშირის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სესია, რომელიც მიეძღვნა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვისა და მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების თვალსაჩინო მეცნიერები.

დღევანდელ პლენარულ სხდომაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ვ. ტოპჩიევმა გააკეთა მოხსენება მეცნიერების განვითარების პერსპექტივების შესახებ სსრ კავშირში. აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. გ. მამედალიევმა გააკეთა მოხსენება რესპუბლიკის მეცნიერების განვითარების შესახებ 40 წლის მანძილზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რ. რ. დვალმა — ქართული საბჭოთა მეცნიერების აყვავებისა და მისი უახლოესი პერსპექტივების შესახებ.

სესიის სხდომებზე მოისმინენ 150-ზე მეტ მოხსენებას.

მაღაროელები ინჟინრის დიპლომებს იღებენ

ჭიათურა. (საქ. კორ.). სამასზე მეტი მაღაროელი სწავლობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ჭიათურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში. ათობით მაღაროელმა დაამთავრა იგი და საუცხოო ინჟინერი გახდა.

ამჟამად ოცი სტუდენტი, რომლებმაც უკვე დაამთავრეს სრული კურსი, აბარებს სადიპლომო შრომებს. მათ შორის არიან ლენინის სახელობის მაღაროს ელექტროზეინკალი ვ. ხარაიშვილი, რკინიგზელი ვ. ჯულელი, ცვლის უფროსი გ. კვანტიძე, რომელიც ამ სამუშაოზე მებიგეობიდან დააწინაურეს, მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს წუნმდებელი ი. კობახიძე, ცვლის ოსტატი ქ. ხიხაძე, გეოლოგიური ძიების ცვლის უფროსი ნუნუ მიქაუტაძე, აგრეთვე ვ. ხარატიშვილი, ლენა გაფრინდაშვილი და სხვები. მალე ისინი ინჟინრის დიპლომს მიიღებენ.

მზის ნექტარი

„მანავის მწვანე"

კახეთის გზატკეცილის გასწვრივ, იქ, სადაც თოხლიაურის ძველისძველი ციხე დაჰყურებს ივრის ჭალებს, შეფერდებაზე მდებარეობს მანავის ღვინის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობა, რომელიც გამოჩენილი ქართველი მეღვინის ვ. ა. კანდელაკის სახელს ატარებს.

ეს ადგილები ძველთაგანვე ყოფილა განთქმული საუკეთესო ხარისხის ღვინოებით. როგორც დოკუმენტები მოგვითხრობენ, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ბევრ სირაჯს აღუძრა თურმე მადა „მანავის მწვანემ". იმავე წლებიდან მათ დაუწყიათ მიწის ნაკვეთების შეძენა და ვენახების გაშენება.

მშვენიერი ზვარი გაუშენებია თბილისელ კაპიტალისტს ი. ფრიდონოვსაც, ამ ზვრის ნაწილი ახლა მანავის საბჭოთა მეურნეობაში შედის. საერთოდ კი ვინ მოთვლის, რამდენი განსაცდელისათვის გაუძლია და რამდენჯერ მკვდრეთით აღმდგარა ქართველი გლეხისათვის შვილივით საყვარელი ვაზი. განსაკუთრებით მრავლობს ვაზი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალ მწვერვალებს იპყრობს მზიური ნექტარი, სხვადასხვა მარკის ქართული ღვინო.

მათ შორის საპატიო ადგილს მალე დაიკავებს „მანავის მწვანე", რომელსაც ჯერ ფართო მომხმარებელი ვერ იცნობს. იგი ახსოვთ უფრო ასაკოვან ადამიანებს. ამ მარკის ღვინო გამოდიოდა 1952 წლამდე, შემდეგ კი მისი წარმოება შეწყდა სათანადო ბაზის უქონლობის გამო

ახლა?

მოვუსმინოთ ქარხანა — საბჭოთა მეურნეობის მთავარ მეღვინეს ირაკლი ჩოლოყაშვილს:

— უკვე გადაწყვეტილია ერთ-ერთი საუკეთესო სამარკო ღვინის „მანავის მწვანის" დაყენება-ჩამოსხმა. ჩვენს ქარხანაში შარშან საცდელად დავამზადეთ ორი ათასი დეკალიტრი ტკბილი და, ვინაიდან სარდაფი არა გვაქვს, დასაძველებლად გადავგზავნეთ გურჯაანის ღვინის ქარხანაში. ასე რომ სამი წლის შემდეგ მშრომელთა სუფრას კვლავ დაამშვენებს „მანავის მწვანე", რომელიც გამოირჩევა თავისი სინაზით, შესანიშნავი ბუკეტით, არომატით.

— ორი ათასი დეკალიტრი ღვინო წვეთია ზღვაში. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს მხოლოდ პირველი საცდელი პარტია იქნება. რომელსაც შემდგომში მოჰყვება ათეულ ათასობით დეკალიტრი „მანავის მწვანე". სანამ ამ მარკის ღვინის პერსპექტივებზე ვრცლად ვილაპარაკებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გაგაცნოთ, რისგან და როგორ დამზადდება იგი, როგორია მისი დაყენების ტექნოლოგია.

— ჩვენი მეურნეობის ზვრები გაშლილია ისეთ ნიადაგზე, სადაც შესანიშნავ ნაყოფს იძლევა ჩინური. რქაწითელი, მწვანე და სხვა ჯიშის ვაზი. თქვენ ალბათ იცით რომ ხვანჭკარასა და ქინძმარაულს აყენებენ მიკრორაიონებში აღებული მოსავლით. ერთი სიტყვით, ნამდვილი ხვანჭკარა მხოლოდ ხვანჭკარაში მოდის და არსად სხვაგან. ასეა ჩვენთანაც. აქ მწვანე ისეთ ღვინოს იძლევა, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება, თუმცა მწვანე ჯიშის ვაზი ბევრგან ხარობს.

— ყოველგვარმა ღვინომ, სანამ იგი საბოლოო სახეს მიიღებდეს უნდა გაიაროს თავისებური ბავშვობა, სიყმაწვილე და ჭაბუკობა. დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის კრეფის ვადებს.

— „მანავის მწვანე" მიიღება სამი წლის დაძველების შემდეგ; დასაძველებლად არჩევენ 11,5 გრადუსი სიმაგრის ღვინოს იმ ვარაუდით, რომ იგი დაძველების პერიოდში დაიკლებს 0,6 გრადუსს მაინც, წელიწადში ერთხელ ღვინო უნდა გადაიღონ ახალ კასრებში.

— სამი წლის შემდეგ „მანავის მწვანე" უკვე ღონიერ ვაჟკაცად იქცევა — ღიმილით ამთავრებს ირაკლი, — და ეშმაკურად დასძენს, რომ ეს მზიური ნექტარი არამია ისეთი კაცისათვის, რომელმაც არც ღვინის მადლი იცის და არც მისი მოხმარების ნორმა.

შემდეგ მეურნეობის დირექტორმა ალექსანდრე ფოჩიანმა და მთავარმა აგრონომმა იოსებ რაქვიაშვილმა გვიამბეს მიმდინარე შვიდწლედის ვენახის ფართობის ზრდისა და ყურძნის წარმოების გადიდების პერსპექტივებზე.

მანავის საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად 228 ჰექტარი ვენახია. შვიდწლედის ბოლოს მისმა ფართობმა 970 ჰექტარს უნდა მიაღწიოს. მეურნეობის მუშაკები წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. ნაცვლად 145 ჰექტარისა აქ შარშან 200 ჰექტარი ვენახი გააშენეს.

გასულ წელს კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 1 მილიონ მანეთზე მეტი. გაკეთდა გზები, აშენდა რკინაბეტონის ბუტები, მოეწყო საწნეხი განყოფილება, საკასრე საამქრო სამრეცხაოთი, აშენდა არყის სახდელი და ნარჩენების გადასამუშავებელი საამქრო.

მაგრამ ეს საკმარისი როდია.

თუ მეურნეობის პერსპექტივას გავითვალისწინებთ, ადვილად მივხვდებით, რატომ არიან შეშფოთებულნი მანაველი მეღვინეები იმით, რომ მესამე წელია, რაც მეურნეობის გენერალურ გეგმას ადგენენ და მის დამთავრებას არაფერი ეშველა. აუცილებელია უახლოეს ხანში აშენდეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ღვინის მძლავრი ქარხანა. ამჟამად არსებული ქარხნის სიმძლავრე მხოლოდ 1.278 ტონას შეადგენს. 1965 წელს კი მეურნეობას გადასამუშავებელი ექნება 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ახლომახლო მდებარე ღვინის ქარხნები ახლაც გადატვირთული არიან და მათი იმედი მანაველებს მომავალშიც არა აქვთ. საჭიროა სათანადო ორგანოებმა გაითვალისწინონ ეს გარემოება. ამასთან საგულისხმოა, რომ ის ადგილები, სადაც ზვრები უნდა გაშენდეს, ნაწილობრივ დაჭაობებულია, მათ დასაშრობად 7 კილომეტრზე გაითხარა სადრენაჟო არხები, მაგრამ მილების უქონლობის გამო არხები კვლავ მიწით ივსება. თუ ასე გაგრძელდა, ათეულ ათასობით მანეთი წყალში გადაყრილი აღმოჩნდება.

მანაველებს ზვრებში მისასვლელი გზები არა აქვთ, რაც დიდად აფერხებს მევენახეთა შრომას, საჭიროა ამასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

...დიდი ილიასი არ იყოს, ვაზი, ვენახი უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათმოქმედებისა და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება გონების გარჯასა და მოხერხების ძალას თხოულობს... მანავის საბჭოთა მეურნეობას ჰყავს სწორედ ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ დიდი ხელოვნებით და მზრუნველობით მოუარონ ვაზს. საკუთარი შვილივით ეპყრობიან ვენახს ამ საქმის ჭეშმარიტი ოსტატები იასე ახალკაციშვილი და ვანო რუსიშვილი, ვლადიმერ ექვთიმიშვილი და ივანე ყორღანაშვილი. მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებიან. ყოველწლიურად ყურძნის მაღალ მოსავალს იღებენ აგრეთვე მაშო ფოცხვერაშვილი, სონა თიბიაშვილი და სხვები.

სამი ათეული წლის წინათ დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი ყირიმში მასანდრის მეღვინეობის მეურნეობას ესტუმრა. საყვარელ სტუმარს მასპინძლებმა თავიანთი ნახელავის სხვადასხვა ჭაშნიკი მიართვეს. ნასიამოვნებმა მწერალმა შთაბეჭდილებათა წიგნში შემდეგი სტრიქონები დატოვა:

— ვსვამდი და ვტკბებოდი.

ღვინოში ყველაზე მეტი მზის სხივებია. გაუმარჯოს ადამიანებს, რომლებმაც იციან ღვინის დაყენება და ამ გზით ადამიანთა სულში მზიური ძალის შეტანა!

მზიური ძალა მზადდება გარეკახეთის პატარა სოფელ მანავში.

ა. თომაძე,
მ. ხეთაგური.

ქართული მარკით მსოფლიოში

საბჭოთა საქართველოს მძლავრი მრავალდარგოვანი მრეწველობა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა აქვს. ეკონომიური განვითარების დონით იგი შეიძლება შევადაროთ ევროპისა და აზიის უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს. ერთ სულ მოსახლეზე თუჯის გამოდნობით საქართველო რამდენჯერმე სჭარბობს ისეთ ინდუსტრიულ ქვეყნებს, როგორიც არიან იაპონია და იტალია. იგი გაცილებით მეტ ფოლადს უშვებს, ვიდრე შვეიცარია, ნორვეგია და თურქეთი ერთად. აწარმოებს მეტ ნედლ აბრეშუმს, ვიდრე თურქეთი და იაპონია. იძლევა საბჭოთა კავშირში გამომუშავებული ჩაის პროდუქციის 95 პროცენტს.

საქართველოს სს რესპუბლიკა დიდი ხანია აღარ წარმოადგენს ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონს ვიწრო ადგილობრივი მნიშვნელობის მეურნეობით. იგი სულ უფრო მზარდ მონაწილეობას იღებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო-საკავშირო გაცვლაში. მას ყოველწლიურად გააქვს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში მრავალი მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სამრეწველო საქონელი. სამაგიეროდ საქართველოში განუწყვეტლივ ნაკადად მოდის ტვირთები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

რუმინეთი
ინდოეთი

სწრაფად ვითარდება მისი საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაც. ამჟამად საქართველოს სსრ საქონელს აწვდის საზღვარგარეთის ორმოცდაათზე მეტ ქვეყანას და იქიდანაც იღებს საქონელს. მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მარტო ისეთი ტრადიციული, მისთვის დამახასიათებელი საქონლის ექსპორტი, როგორიც არის მარგანეცი, ღვინოები, თამბაქო, ხილი, არამედ პროდუქციის ისეთი ახალი სახეობებისაც, როგორიც არის მანქანები, ჩარხები, ლითონი, მილები, არტეზიული ტუმბოები, ფეროშენადნობები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, მარმარილო, ცემენტი, სამედიცინო პრეპარატები და ა. შ. ქართული წარმოების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელი დიდ ყურადღებას იპყრობს და ინტერესს იწვევს. ამ საქონლის ასორტიმენტი ფართოა — ასზე მეტი სახელწოდებისა.

განვლილ წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მარტო 32 საწარმომ, რომლებიც ექსპორტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით გაგზავნეს 700 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო საქონელი. საქართველოს სამრეწველო პროდუქცია წარმოდგენილი იყო 16 საერთაშორისო ბაზრობასა და გამოფენაზე: ნიუ-იორკში, ლაიპციგში, პოზნანში, სალონიკში, ჰელსინკიში, დელიში, იზმირში და სხვ. წელს რესპუბლიკა მონაწილეობას მიიღებს უცხოეთის ქვეყნების 19 ბაზრობასა და გამოფენაში.

რუსთავი სულ ახალგაზრდა ქალაქია. მაგრამ მან მტკიცე ეკონომიური კავშირი დაამყარა უცხოეთის ქვეყნებთან. მილსაგლინავი დგანები ბუქარესტში და ქალაქ რომანში (რუმინეთი) რუსთავის მილის ნამზადით მუშაობენ. ამ დგანების გამართვაში რუმინელებს ეხმარებოდნენ ქართველი სპეციალისტები — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი პავლე წერეთელი და სხვები. მილის ნამზადები, სორტული ლითონი, ფურცლოვანი ფოლადი, სხვადასხვა მილები იგზავნება რუსთავიდან ჩინეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ალბანეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ინდოეთში.

სულ უფრო მეტი რაოდენობით მიდის საექსპორტოდ ზესტაფონის ქარხნის ფეროშენადნობებიც. მათ დიდი ხალისით ყიდულობენ არა მარტო სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, არამედ აგრეთვე ავსტრია, შვეცია, ფინეთი. ამას წინათ პირველი ათასობით ტონა ფეროშენადნობები გაიგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საერთაშორისო ბაზარზე წარმატებით გამოდის საქართველოს ახალგაზრდა მანქანათმშენებლობაც. ბევრ ქვეყანაში იგზავნება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის სახარატო-ხრახნსაჭრელი და მილის დასამუშავებელი ჩარხები. მარტო შარშან მან საზღვარგარეთ გაგზავნა 210 ჩარხი. ამჟამად საზღვარგარეთის ქვეყნებში ექსპლოატაციაშია 2.000-ზე მეტი ქართული ჩარხი. განსაკუთრებით ბევრი ჩარხი გაიგზავნა ჩინეთსა და უნგრეთში. წელს საექსპორტოდ ჩარხების მიწოდება ერთნახევარჯერ დიდდება.

საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაც. მან უნგრეთს მიაწოდა პრეციზიული ჩარხების პირველი პარტიები. წელს კი მისი მიწოდებანი ერთიორად იზრდება.

ბათუმის ჩაის მანქანების შესახებ ჩინეთში რამდენიმე წლის წინათ შეიტყეს. შორეულ ვიეტნამში, ფუ-ტოს პროვინციაში მთავრდებოდა ორი ჩაის ფაბრიკის აგება. მანქანების მონტაჟს ხელმძღვანელობდა ბათუმის მანქანათსაშენებლო ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი გიორგი პეტრენკო. ამ დროს ფუ-ტოში ჩინეთის ჩაის მრეწველობის სპეციალისტები ჩავიდნენ. სტუმრებს მოეწონათ საბჭოთა მოწყობილობა. მალე ბათუმის ქარხანამ მიიღო შეკვეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან. შემდეგ მოვიდა მეორე, მესამე შეკვეთა..., ჩინეთში გაიგზავნა დახურული და ღია ტიპის როლერები, დამხარისხებელი მანქანები, ჩაის სახმობი ღუმელები, კალორიფერები, შესარევი დანადგარები. ბათუმელთა კოლექტივი შეკვეთებს ჩინელი მეგობრებისათვის ღირსეულად, კალამდე და ჩინებული ხარისხით ასრულებს. საბჭოთა მანქანები შეუფერხებლად მუშაობენ ჩინეთში.

ახლა ბათუმიდან და თბილისიდან საზღვარგარეთ მიდის ბევრი სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობაც კვების მრეწველობის საწარმოებისათვის — ავტოკლავები, წნეხები, ხილისა და ბოსტნეულის საქუცმაცებლები და სხვ.

ჩინეთიდან დიდი შეკვეთა მიიღო ფოთის მიწასაწოვი მანქანების ქარხანამ. ამჟამად ფოთელები ამთავრებენ მიწასაწოვი მანქანების მეორე პარტიას ჩინეთისათვის და განზრახული აქვთ გაგზავნონ იგი დადგენილ ვადაზე ერთი თვით ადრე.

ბჰილაის მეტალურგიული ქარხანა — ინდოეთის ახალგაზრდა მძიმე ინდუსტრიის სიამაყე — შექმნილია ინდოელი და საბჭოთა მშენებლების თავდადებული შრომით. ბევრ საბჭოთა საწარმოს შორის, რომლებიც ბჰილაის მშენებლობის შეკვეთებს ასრულებდნენ, საქართველოს საწარმოებიც იყვნენ.

თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხანა ინდოეთში გზავნიდა ძვირფას ჩარხებს. ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ თავის ინდოელ თანამოძმეს დიდი რაოდენობით გაუგზავნა სხვადასხვა მილები. საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის საწარმოებმა ბჰილაის მშენებლობას გაუგზავნეს ასობით ტონა ანდეზიტის ფქვილი და მჟავაგამძლე ანდეზიტის ქვები.

ასეთივე ალმაცერობითა და სიყვარულით დაამზადა რუსთავის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ცხავების პარტია შორეული ინდონეზიისათვის.

ჩვენს წინ არის შეკვეთები, რომლებიც მიუღია თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანას. მათს პირველ ფურცლებზეა მსხვილი წარწერა: „გაერთიანებული ერები". ეს არის შეკვეთები ეგვიპტისათვის, რომლებიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით.

ქარხანა ამზადებს წყლის სივრცეების, მზის რადიაციის, ნიადაგის ტენიანობის შესწავლასთან დაკავშირებულ ხელსაწყოებს — სულ ორმოცზე მეტი სახელწოდებისას. ეს ხელსაწყოები უკვე არაერთხელ ჩაუშვიათ დედამიწის ბევრ ოკეანეში, ზღვებსა და ღრმა მდინარეებში. ისინი საჭირო გახდნენ ჩინეთის უდიდესი მდინარის იანძის, ცისფერი დუნაის, მძლავრი ნილოსის წყლის რეჟიმის — მათი დინების სიჩქარის, აორთქლების უნარის, სხვადასხვა მონალექის შემცველობის შესასწავლად. ქარხნის ხელსაწყოები საიმედო სამსახურს უწევენ ჩრდილოეთის პოლუსის სადგურებზე-იალბუზისა და ყაზბეგის თოვლიან მწვერვალებზე, ისინი საჭიროა წყნარ ოკეანეშიც და ანტარქტიდის ყინულებშიც.

დემოკრატიული
გერმანია
ინგლისი
საფრანგეთი
იტალია
ავსტრია

თბილისის ქარხნის ზღვის ღრმა წყლის ბათომეტრები, ჰიდროლოგიური ტრიალები, აქტინომეტრები, ალბედომეტრები, პირანომეტრები, გალვანომეტრები, თოვლსაზომები და ბევრი სხვა ხელსაწყო მსოფლიოს თითქმის ორმოც ქვეყანაში იგზავნება. ქარხნის მთელი პროდუქციის მეათედი ნაწილი საექსპორტოდ მიდის. ჰიდროლოგიურ ტრიალებს, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეთა წყლებში შეტივტივებული ნაწილაკების რაოდენობის გამოსარკვევად დიდი გასავალი აქვს საზღვარგარეთ, ხოლო მზისა და დედამიწის თბური ბალანსის შესწავლისათვის საჭირო ბალანსსაზომები მთლიანად საექსპორტოდ მიდის.

ქარხნის ზუსტი ხელსაწყოები გასულ წელს წარმოდგენილი იყო შვიდ საერთაშორისო გამოფენაზე. წელს გაიგზავნება 14 გამოფენაზე: პარიზში, ჯაკარტაში, ოსლოში, ბუქარესტში და სხვ.

საზღვარგარეთის ათზე მეტი ქვეყანა იძლევა შეკვეთებს სამედიცინო პრეპარატებზე, რომლებსაც ბათუმის კოფეინის ქარხანა და თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა ამზადებენ. იუგოსლავიაში, ერაყში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, მონღოლეთში, ვიეტნამში, კორეის რესპუბლიკაში იგზავნება კოფეინი, ალოეს ექსტრაქტი, პლატიფილინი და სხვა წამლები.

კვლავ განუსაზღვრელი მოთხოვნილებით სარგებლობს ქართული მარგანეცის მადანი. საქართველო ზრდის მარგანეცის მოპოვებას მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და ამავე დროს უგზავნის მას მოძმე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს და ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის სხვადასხვა ფირმებს. ჭიათურის მარგანეცის მადანს საგარეო ბაზარზე ხშირად უპირატესობა ეძლევა ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის საუკეთესო მადანზეც კი.

საქართველოს მარმარილოს უმდიდრესი საბადოები აქვს. ამასწინათ მისი ლამაზი მარმარილოთი დაინტერესდნენ იაპონია, ბელგია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მათ გაეგზავნათ სვანეთის, სალიეთისა და ლოპოტის მარმარილოს პირველი პარტიები. ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება უცხოეთის სხვა ფირმებთან მარმარილოს ბლოკების დიდი რაოდენობით მიწოდების შესახებ.



საქართველოს ექსპორტში თვალსაჩინო როლს ასრულებს მისი სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკას გააქვს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია — ხილი, ციტრუსები, თამბაქო, დაფნის ფოთოლი, არამედ უმთავრესად კვების მრეწველობის პროდუქტები — ღვინო, კონიაკი, შამპანური, ჩაი, კონსერვები, მაკარონი. ღირებულებითი გამოხატულებით მათ ძირითადი ადგილი უჭირავთ ექსპორტში. საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირმა — ცეკავშირმა შარშან ცენტროსოიუზის საგარეო ვაჭრობის კანტორასთან დადო სავაჭრო შეთანხმება 68 მილიონი მანეთის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ. ეს ხელშეკრულება წარმატებით იქნა შესრულებული. წელს ხელშეკრულება დადებულია უკვე 105 მილიონ მანეთზე, ხოლო ცეკავშირი ახლა აპირებს მიწოდება აიყვანოს 135 მილიონ მანეთამდე.

საქართველოში საქონელი მოდის ჩინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, შვეციიდან, დანიიდან, ფინეთიდან, ავსტრიიდან და მთელი რიგი სხვა ქვეყნებიდან. ამას წინათ ბათუმის ნავსადგურში მოვიდა ინგლისის გემი „ინვერი". მან ჩინეთიდან ჩამოიტანა ბრინჯი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის. სამი თვით ადრე 10 ათასი ტონა ბრინჯი ჩამოიტანა საბერძნეთის გემმა „იოანის ინგლესისმა".

საზღვარგარეთთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობას დიდი პერსპექტივები აქვს. სამრეწველო წარმოების მიღწეული დონე შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მზა ნაწარმისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების ნომენკლატურა.

ამას წინათ შეიქმნა აგრეთვე საქართველოს სავაჭრო პალატა. იგი ხელს უწყობს საშინაო ვაჭრობის განვითარებას და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას. პალატა აწესებს საქმიან და საზოგადოებრივ ურთიერთობას საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან, სავაჭრო პალატებთან, საექსპორტო ინსტიტუტებთან, ბირჟებთან, იღებს უცხოეთის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციებს.

საექსპორტო რესურსების შემდგომი გადიდება, ექსპორტის ნომენკლატურის გაფართოება და პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება საქართველოს ყველა საწარმოს და სხვა ექსპორტიორების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გ. ღურბლიშვილი.

შემოქმედებითი ძიების გზით

ჭიათურის თეატრის სამი სპექტაკლი

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა ორიგინალური ქართული დრამატურგიის ნაწარმოებებს. ეს ჯანსაღი ტრადიცია დიდი ხანია დამკვიდრდა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში.

ასეთი ნიშნით არის აღბეჭდილი ახლანდელი რეპერტუარიც, სადაც ორიგინალური დრამატურგიის ნაწარმოებებს უპირველესი ადგილი აქვთ დათმობილი. მაგრამ სამწუხაროდ რეპერტუარი ღარიბია თანამედროვეობის ამსახველი პიესებით.

მართალია ჭიათურის თეატრს ჯერჯერობით ნაკლებად მოეპოვება თავის რეპერტუარში მაღალმხატვრული დრამატული ნაწარმოებები თანამედროვე თემაზე, მაგრამ მას ჰყავს ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორები, რომელთა შემოქმედებითი ინდივიდუალობა ბევრ სპექტაკლში იგრძნობა.

ეს მკაფიოდ ჩანს ტრ. რამიშვილის კომედიის „სტუმარ-მასპინძლობის" წარმოდგენაში (დამდგმელი რეჟისორი — ხელოვნების დამსახ. მოღვაწე ს. ცომაია; მხატვარი — ხელოვნების დამსახ. მოღვაწე მ. აბჟანდაძე). „სტუმარ-მასპინძლობა" ბევრჯერ დადგმულა ჭიათურის სცენაზე. ჯერ კიდევ ადრე ქართული სცენის სახელოვანი ოსტატების უფროსი თაობის წარმომადგენლები ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, მიხეილ ქორელი, პ. ფრანგიშვილი და სხვები წლების განმავლობაში ნერგავდნენ ჭიათურის თეატრში ერთ მეტად საგულისხმო ტრადიციასაც. ეს იყო შემდგომი გულმოდგინე მუშაობა ერთხელ შექმნილი სცენური სახის სრულყოფისათვის.

ბევრი მეტად საყურადღებო დეტალით გაუმდიდრებიათ ადრე შექმნილი სახეები რესპუბლიკის სახალხო არტისტს გიორგი ნუცუბიძეს (ოთარ გობრონიძე), რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს გრ. ტყაბლაძეს (ნიკიფორე ატაკუტა), ვ. სვანელს (მამიდა) და მ. ვაშაძეს (არიმან ვახრაკიძე). განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ გრ. ტყაბლაძის მიერ შექმნილი ნიკიფორე ატაკუტას სცენური პორტრეტი. მხატვრული ზომიერებით და სიმართლით გამოირჩევა რესპუბლიკის სახალხო არტისტის გიორგი ნუცუბიძის თამაში.

თავისებურად აქვს გააზრებული რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მ. ვაშაძეს არიმან ვახრაკიძის სახე, მაგრამ მაინც მიუტევებელია მისი გამოსვლა ამ როლში უგრიმოდ, რადგან ასეთი რამ არ ეთანხმება დრამატურგის მიერ მოხაზულ პორტრეტს და ვერც უქმნის დამაჯერებლობას აქტიორის აწორ სცენურ ჩანაფიქრს. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. სვანელი განსაკუთრებით სპექტაკლის პირველ ნახევარში ქმნის გმირის (მამიდა) მართალ სახეს. მაგრამ მეორე ნახევარში მსახიობი ივიწყებს გმირის ასაკს და მხატვრულ სიმართლეს შორდება. იგივე ემართებათ ნიჭიერ მსახიობებს მ. კუსიანს (ბიკტორ ბუგიაშვილი) და ან. ხვედელიძეს (ივანე ძუსხრიკიძე).

რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ცომაია ცდება, როცა სპექტაკლს ამთავრებს ყველა სტუმრის წასვლით ალექსი ბესელიძის ოჯახიდან, გარდა არიმანისა. გამოდის, რომ უკანასკნელს პირადი ეგოისტური მიზნით გაურეკია სტუმრები ალექსის ოჯახიდან. ჩვენი აზრით ეს ეწინააღმდეგება ავტორის ჩანაფიქრს.

უფრო დამაჯერებელია ს. ცომაიას მეორე დადგმის — გრ. ბერძენიშვილის „ნატყვიარი ჰადარია" ფინალი. პიესით ფინალში ვერიკოსა და გოგიას ქორწილის დროს უცნობი გმირი კვდება და მასთან ბერუკა ბარდება ძველი სინამდვილე, როცა „მტკაველი მიწის გულისათვის ძმა ძმას სასიკვდილოდ იმეტებდა". რეჟისორი ქების ღირსი გამბედაობით უარყოფს ამ ფინალს და მხატვრულად გვაჯერებს, რომ სიცოცხლის ზეიმში სიკვდილს არაფერი ესაქმება, აქ მან არ უნდა შეიტანოს დისონანსი. უცნობი თავისთავად „ცოცხალი ლეშია", სოციალისტური სინამდვილისათვის სრულიად ზედმეტი, უცხო და შეუფერებელი ადამიანი. ცხადია, ასეთის სიკვდილმა არ უნდა მიაყენოს ჩრდილი ადამიანთა ახალი ურთიერთობის ზეიმს. ხოლო პიესის იდეა — მიწა უნდა იყოს არა მტრობის და სიავკაცის, არამედ ბედნიერების, მშვიდობის, ძმობისა და სიყვარულის წყარო, — მაყურებლამდე აღწევს სპექტაკლის ანსამბლურობით და ხასიათების აზრიანი გახსნით. შემსრულებელთა შორის უნდა გამოვარჩიოთ მსახიობი მ. კუსიანი (ჯეგეში) და ახალგაზრდა მსახიობი აკ. ბაქრაძე (ბათლომე), რომელიც მოწონების ღირსია გარდასახვის მანერით, გარეგნული პორტრეტის გამომსახველობით.

ეპიზოდური და მკრთალია (პიესით) უცნობის როლი. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის დამს. არტისტმა გრ. ტყაბლაძემ შეძლო მოენახა ამ როლისათვის თავისი მნიშვნელობა და იგი მართალ სახედ ექცია, მაშინ როცა ხელთ ღარიბი დრამატურგიული მასალა ჰქონდა.

ცოცხალი, დამაჯერებელი სცენური სახე შექმნა რესპუბლიკის დამს. არტისტმა ვ. სვანელმა. მისი ქაქალია გვხიბლავს თავისი უბრალოებით, ზომიერებით, თამაშის სიფაქიზით. ჯონდოს დრამატურგიულად ღარიბ და ცივ როლს შინაგანი ცეცხლით ვერ ათბობს რესპუბლიკის დამს. არტისტი მ. ვაშაძე. პიესით რაიკომის მდივნის სახე მეტად სქემატურია. იგი მართალია და მოკლებულია ცოცხალ ცხოვრებისეულ საღებავებს. ამ შემთხვევაში კარგი მხატვარი მ. ვაშაძე [illegible] იმას, რომ თავისი სცენური მომხიბვლელობით [illegible].

სულ სხვაა ეს მსახიობი ასკალონის როლში მის მიერვე განხორციელებულ სპექტაკლში „ერთხელ დახოცილები". ვ. კალდელაკის ამ პიესამ, როგორც ცნობილია, მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. ჭიათურის თეატრში მისი დადგმა რესპუბლიკის დამს. არტისტს მ. ვაშაძეს ეკუთვნის; მხატვრობა — ხელოვნების დამს. მოღვაწეს მ. აბჟანდაძეს. დამდგმელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას იმ თავითვე მიუქცევია ყურადღება პიესის ნაკლოვანებებისათვის და გაბედულად დაუხვეწია პიესა ბევრი უხასიათობისაგან. ეს ნათლად ჩანს, როცა მას სხვა თეატრების დადგმებს ვადარებთ. ამის შედეგად მიღებულია სპექტაკლი, რომელიც სერიოზულად ჩააფიქრებს მაყურებელს შვილიანობის პრობლემაზე, ვიმეორებთ, იმ ნაკლებად შთამბეჭდავი დრამატურგიული საშუალებითაც, რომელსაც ხაკლები დამაჯერებლობის დაღიც აზის.

პიესის სუსტი მხარეების დასაძლევად დადგმის ავტორს მრავალი სცენური ხერხის (სცენის ბრუნვა და სხვ.) გამოგონება დასჭირვებია. ბევრი მათგანი უთუოდ მიაღებია და შეესაბამება სპექტაკლს, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც მართებულად არ გვეჩვენება. მაგალითად, მხატვრულად გაუმართლებელია საბასა და მგელიკას შემოსვლა პიესის მოქმედებაში პარტერიდან, რადგან ეს არ ეხამება სპექტაკლის სტილს. ასევე გაუმართლებელია მიზანსცენები სცენის ჩრდილოვან ადგილებში, როცა მისი წინა ნაწილი თავისუფალია მოქმედებისაგან. ძნელია აგრეთვე მხატვრული გამართლება მოუძებნოთ დეკორაციას, რომელზედაც ცაა წარმოდგენილი მთვარითა და ვარსკვლავებით (ბოლო სურათი).

შემსრულებელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია თვით დამდგმელი მ. ვაშაძე. იგი ასკალონის როლს თამაშობს. ბუნებრივი სცენური მომხიბვლელობისა და ტემპერამენტის გარდა, მ. ვაშაძეს სცენური გარდაქმნის მოსაწონი უნარი ახასიათებს. უბრალო ხერხებით ის ადვილად აღწევს გარეგნული სცენური პორტრეტის სიმახვილეს. სპექტაკლის მანძილზე მსახიობი წუთითაც არ არღვევს სახის მთლიანობას, არ ღალატობს მხატვრულ ზომიერებას, რაც ასე ძნელია ამ როლის შემსრულებელთათვის. როლის შესრულებაში ის ბოლომდე ერთგული რჩება ცხოვრების სიმართლისა.

მაღალი ოსტატობით ხასიათდება ან. ბარათაშვილის (თომა) თამაში. დასამახსოვრებელია ვ. სვანელი (ციცინოს დედა).

ახალგაზრდა მსახიობები ნ. ერიაშვილი და გ. მოდებაძე შეყვარებულ წყვილს წარმოსახავენ. უნდა ითქვას, რომ ისინი ორიგინალური საღებავებით ახასიათებენ თავიანთ გმირებს და შეყვარებულთა განსახიერებაში ერიდებიან სცენურ შტამპებს. მათს შესრულებაში სიახლე და დამოუკიდებლობა იგრძნობა.

ფაქიზი სულითა და უშუალობით აღბეჭდილ სახეებს ქმნიან დანარჩენი შემსრულებლებიც — დ. ჯაფარიძე (თინა), შ. ჩიქვილაძე (ამირანი), ვ. ვაშაძე (საბა), მ. ჯაფარიძე (მგელიკა) და სხვ. მეტი სიფაქიზე და მოქმედების დახვეწა სჭირდება ყარამანის როლის შემსრულებელს (მსახ. მ. კუსიანი).

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრის სცენაზე ნახულმა სპექტაკლებმა ნათლად გვიჩვენა აქტიორული ანსამბლის ნიჭიერება, რეჟისორის ოსტატობა, რაც ყოველი თეატრის წარმატების საფუძვლად უნდა ჩაითვალოს.

გ. აბულაძე,
ნ. გოძიაშვილი,
მ. ცხომარია.

რუსთაველის ნაკვალევზე

მისი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი

უკრაინელი მწერლის გრიგოლ პლოტკინის ტურისტულმა ჩანაწერმა — „რუსთაველის ნაკვალევზე", რომელიც ჩვენი გაზეთის 12 მაისის ნომერში გამოქვეყნდა, საზოგადოებრიობის ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

როგორც მკითხველებმა იციან, რედაქცია სთხოვდა მეცნიერებს, რუსთველოლოგებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ მეტად ამაღელვებელ საკითხზე.

„კომუნისტის" რედაქციამ უკვე მიიღო რამდენიმე გამოხმაურება. დღეს ვაქვეყნებთ ერთ-ერთ მათგანს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის შალვა ნუცუბიძის წერილს.

უკრაინელი მწერლის გრ. პლოტკინის წერილის („რუსთაველის საფლავი") ირგვლივ ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი თანდათან იზრდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რუსთაველის ცხოვრების დასასრულის საკითხი. ეს უკანასკნელი უკავშირდება როგორც რუსთაველის საფლავის, ისე მისი პოემის გაგრძელების პრობლემას.

გრ. პლოტკინის ცნობები ეხება პოეტის საფლავს, რომელიც იერუსალიმში საბჭოთა კავშირიდან ჩასულ ტურისტების ჯგუფს აჩვენეს ყოფილ ჯვარის მონასტერში, შესასვლელიდან მეორე (მარჯვენა) ბოძის ძირში.

ეს, როგორც ირკვევა, სავსებით დაუბრკოლებლივ არ მომხდარა, მაგრამ მოსკოველი მეცნიერი მუშაკის პავლოვსკის და ჯვარის მონასტრის ახლანდელი წინამძღვრის — სოფოკლეს მითითებით და თანადასწრებით რუსთაველის საფლავი შემკობილ იქნა ყვავილებით.

ჩვენს საზოგადოებრიობას,, როგორც ითქვა, მეტად აინტერესებს და აღელვებს გრ. პლოტკინის ცნობები, მკითხველთა ფართო მასებს, როგორც იმათი წერილებიდან ჩანს, აინტერესებთ, იცოდა თუ არა პოეტის საფლავის ამბავი ჩვენმა მეცნიერებამ, და თუ იცოდა — რა საბუთები არსებობს ამის დასამტკიცებლად?

რუსთაველის ცხოვრების დასასრულის და მისი საფლავის საკითხი გამორჩენილ ქართველ მეცნიერთა კვლევის საგანი იყო ყოველთვის. ა. ცაგარელი, რომელმაც იმოგზაურა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, ნ. მარი (აგრეთვე იკვლევდა ჯვარის მონასტრის დამწერლობით ძეგლებს რუსთაველთან დაკავშირებით), კ. კეკელიძე (ერთგვარი წარმატებით შეისწავლა ეს მასალები), პ. ინგოროყვა (მრავალი რამ სწორად შეამჩნია დასახელებული საკითხის ირგვლივ) ეხებოდნენ რუსთაველის ცხოვრებას და მისი საფლავის ადგილს.

გრ. პლოტკინის მასპინძელს — ჯვარის მონასტრის წინამძღვარს ტრადიციაზე მეტი საბუთი არ ჰქონდა ხელთ, ხოლო მეცნიერ მუშაკ პავლოვსკის — ცოტა მეტი, მაგრამ გადამწყვეტი საბუთი არც იმას ჰქონია. მიუხედავად ამისა, გრ. პლოტკინის თანამგზავრები, როგორც ირკვევა მეცნიერული საბუთებიდან, რომლებიც უკანასკნელ ხანამდე გამოვლენილი არ იყო, ნამდვილად წარდგნენ რუსთაველის საფლავის წინაშე, რაც მეორე (მარჯვენა) ბოძის ძირში უნდა იყოს.

ამ საკითხის მეცნიერულად დამტკიცებისათვის უნდა გავითვალისწინოთ ორი მომენტი: რუსთაველის პოემაში მოცემული ავტობიოგრაფიული მასალა, მეტად თავისებური ხასიათისა, და — ჯვარის მონასტრის საბუთები. შევეხებით იმ სტროფებს, რომლებსაც პოეტი ურთავდა პოემის ტექსტს გზადაგზა, როდესაც იგი, საეკლესიო წრეების ზეგავლენით განდევნილი, უცხოეთში მიდიოდა. ეს სტრიქონები პოემის მოქმედი პირების გარდახვეწას, სამშობლოდან გასვლას ეხებოდა და პოეტს საკუთარ ბედს მოაგონებდა. ასეთი სტროფები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი — უმეტესობა — იერუსალიმში ჩასვლამდეა დაწერილი, ხოლო ორი — იერუსალიმში ჩასვლის შემდეგ.

ამ სტროფებს რომ კავშირი არ ჰქონდათ პოემის პირვანდელ ტექსტთან, კარგა ხანია შეამჩნიეს ქართველმა მეცნიერებმა — ნიკო მარმა და პავლე ინგოროყვამ (პირველმა — მეორე სტროფი, ხოლო მეორემ — 177-ე სტროფი). ასევე გარკვეულად შემჩნეულ იქნა 953 სტროფი იმავე პ. ინგოროყვას მიერ. აქედან ერთი ნაბიჯი იყო იმის მიგნებამდე, რომ „ვეფხისტყაოსნის" ალნაგობაში ავტორის მიერ შემთხვევით ჩასმული სტროფები იყო, სიუჟეტით გამოწვეული, მაგრამ საკუთარი მიმართულების მქონე, რომლებიც პოეტის მგზავრობის მიმართულებასაც აღნიშნავენ.

დამახასიათებელია სტროფი 177, სადაც ნათქვამია:

„ვის ბადახში არა ჰგვანდეს
და ლერწამი ტანად ეზროს,
იგი სადმე გალარიბდეს, სამყოფთაგან
იაბეზროს".

უნდა დავეთანხმოთ, რომ ფერმკრთალი, ათრთოლებული, მარტოხელად ქცეული და სამშობლოდან განდევნილი (აბეზარქმნილი) არ არის ავთანდილი, რომელიც. სატრფოს დავალების შესასრულებლად ქარიშხალივით გადასერავს არაბთა საზღვარს და სხვ.

საინტერესოა სტროფი 953, სადაც რუსთაველმა გადაწყვიტა სოფელთან კავშირის გათავებისა და ღვთის თავშესაფრის ძიების საკითხი:

„ყოვლიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა,
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი
სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა შენგან განაწირსა".

უფრო მკაფიო განხილვა ავტორის ავტობიოგრაფიული ჩანართებისა აქ უადგილოა. მთავარია ის, რომ ისინი გრძელდება იერუსალიმული ორი სტროფის სახით. ჩვენ დღევანდელ ტექსტში ეს არის მეორე და 1667 სტროფი. ამ სტრიქონებს ის კავშირი აქვთ რუსთაველის სამოგზაურო სტროფებთან, რომ ამ მოგზაურობის დამთავრებასა და პოეტის მიერ ჯვარის მონასტერში „ვეფხისტყაოსნის" გმირების ცხოვრების აღწერის გაგრძელებას გვიჩვენებენ.

ნ. მარმა სწორად შეამჩნია მეორე სტროფის უადგილობა „ვეფხისტყაოსანში" და სწორედ იმის გამო, რომ იგი პოემის პირველი სტროფის თავისებურ განმეორებას წარმოადგენდა. აქედან ერთი ნაბიჯი იყო იმის მიხვედრამდე, რომ აქ მეორე პოემის პირველი სტროფი შეიძლებოდა ყოფილიყო, თავისი ოთხი ელემენტით: 1) „სახე ყოვლისა ტანისა", 2) დათრგუნვა სატანისა, 3) მიჯნურთა ამბავის სიკვდილამდე აღწერისა, 4) ცოდვათა შემსუბუქებისა. აქ მთავარია მიჯნურთა სიკვდილამდე ამბავის გატანა, როგორც პოემის გაგრძელების მიზანი. რუსთაველი ერისკაცად დარჩა ჯვარის მონასტერში და სატანასთან ბრძოლა ხელს არ უშლიდა მიჯნურთა ამბავის სიკვდილამდე გასაგრძელებლად.

ამას, გასაგებია, მოჰყვა უკანასკნელი 1667 სტროფი:

„გასრულდა მათი ამბავი,
ვითა სიზმარი ღამისა".

აქ ნათქვამი — „გარდახდეს, გავლეს სოფელი" სიკვდილამდე გატანილ მიჯნურთა ამბავს გამოხატავდა და, ცხადია, არა პოემის იმ დასასრულს, რომელიც მიჯნურთა შეყრით დაწყებულ ბედნიერ ცხოვრებას მოასწავებდა. ეს შეუფერხებლობაც ჩვენამდე იქნა შენიშნული.

ასე გაიბა კავშირი საქართველოდან გასვლასა და ჯვარის მონასტერში ჩასვლას შორის, პოეტური ავტობიოგრაფიული ჩანართების ხაზით. ჯვარის მონასტერში ორი სახის საბუთებია რუსთაველთან დაკავშირებით: დამწერლობითი ხასიათისა და გამოსახვითი. პირველთაგან ერთი მოხსენიებათა წიგნის ჩანაწერი: „ამავე ორშაბათსა ადაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისა", რომელიც, ცხადია, უკვე გარდაცვლილ შოთას ეხება; ხოლო მეორე ბოძზე (მარჯვნივ) ორი წარწერა იყო: „ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან. ამინ". და მეორე: „შოთა რუსთაველი". ბოძის ეს წარწერა აქამდე არ ყოფილა სწორად წაკითხული: ის ერთი ფრაზა როდია, როგორც ეს ა. ცაგარელს ეგონა, არამედ ორი ნაწილისაგან შედგება, როგორც ეს კეკელიძემ წაიკითხა, მაგრამ ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროისაა.

პირველი წარწერა პოეტის სიცოცხლეშია გაკეთებული, როდესაც შოთამ განაახლებინა მონასტრის მხატვრობა, რაც მის ჩასვლის უმალ მომხდარა. ჩვეულებრივ მონასტრის შემწირველთა სახელი და ზოგჯერ ოჯახის წევრებისა და სხვ. მოიხსენიებოდა ასეთ წარწერებში, რაც შოთას წარწერას აკლია. ძნელია აქ იმაზე მსჯელობა, რამ გამოიწვია ეს დუმილი: საფიქრებელია, რომ დევნილი პოეტის სახელი მონასტერში მისვლის უმალ არ აღნიშნეს. თუ მართალია ტრადიცია, რომ შოთამ მონასტრის მხატვრობა თამარის დავალებით განაახლა, მაშინ ირკვევა, რომ მისი გამგზავრება ჯვარის მონასტერში უკვე იმ თავითვე გათვალისწინებული ყოფილა.

ამავე ბოძზე გამოისახა ორი საეკლესიო მოაზროვნე — მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკოელი, რომელთა წინაშე დაჩოქილი პირი ნათელყოფას იღებს. ეს სურათი აქამდე აუხსნელი იყო. აქ არის მთელი აზრი „ცოდვათა შემსუბუქებისათვის" ვედრებისა, იერუსალიმური მეორე სტროფის ბოლოში გამოხატული. რუსთაველის პატივისმცემლებმა ასე შეარიგეს პოეტი ეკლესიას, რის შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი სრული პოეტური სახელის აღნიშვნა მეორე ბოძზე.

ასეთი სრული სახელის აღნიშვნისათვის ბრძოლა უდავოდ მაჩვენებელია იმისა, რომ იგი უფრო გვიან მოხდა, ვიდრე თვითონ გამოსახვა შოთასი საერო სამოსელში. პოეტის სახელის მეორე ბოძზე ასეთი საგანგებოდ აღნიშვნა უდავოდ ამტკიცებს, რომ მას გამოსახვის ნათელყოფა კი არ ევალებოდა, რაც ისედაც ნათელი იყო, არამედ მეორე ბოძის ძირში მოთავსებული საფლავის ზედწერას წარმოადგენდა.

შალვა ნუცუბიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ქართველი მომღერალი ჰანოიში

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰანოის მუსიკალურ სასწავლებელში (კონსერვატორიაში) მოძმე ვიეტნამელი ხალხისათვის უანგარო, ინტერნაციონალური დახმარების წესით ეროვნული ვოკალური კადრების მომზადებაზე რამდენიმე ხანია მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტი დავით ბადრიძე.

დ. ბადრიძემ, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს თეატრალურ კოლექტივებთან, მოუსმინა როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მხატვრული თვითმოქმედების ათობით კოლექტივს და შეარჩია ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელთანაც დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

დ. ბადრიძემ 19 აპრილს სოლო კონცერტი გამართა. ვიეტნამში ეს იყო სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტის პირველი სოლო კონცერტი, რომლის მიზანი იყო გაეცნო ვიეტნამელი მაყურებლისათვის რუსეთის, საქართველოს და დასავლეთ ევროპის მუსიკალური კულტურის კლასიკური ნაწარმოებები.

კონცერტზე შესრულებულ იქნა ჩვენი ქვეყნისა და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების არიები და რომანსები.

დარბაზი ხალხით იყო სავსე. ვიეტნამელი მაყურებლები დიდი ინტერესით ისმენდნენ მსახიობის გამოსვლას. დამსწრეთ განსაკუთრებით მოეწონათ დიდი სითბოთი და გრძნობით შესრულებული „ურმული" და „ინდი მინდი".

მაყურებლებმა მსახიობს ოვაცია გაუმართეს და ყვავილები მიართვეს.

ვ. ფრანგულიანი.

სტუმრები მოგვითხრობენ...

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვრული კინოფილმების ფესტივალის გახსნასთან დაკავშირებით 12 მაისს ბერლინიდან თბილისში სტუმრად ჩამოვიდნენ ცნობილი გერმანელი კინორეჟისორები იოახიმ კუპერტი, კონრად ვოლფი და კინომსახიობი ქალი ჰერლინდ ანერტი.

გერმანელ კინემატოგრაფისტებს შევხვდით კინოსტუდია „ქართულ ფილმში" და ვთხოვეთ მოეთხროთ თბილისურ შთაბეჭდილებებზე.

— არა, თავდაპირველად ბერლინურზე ვიტყვი, — სიტყვას გვაწყვეტინებს კინორეჟისორი იოახიმ კუპერტი, — გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ქართველ კინომოყვარულებს გადასცეთ, რომ გერმანულ კინოეკრანებზე დიდი წარმატებით მიდის ქართული ფილმები „ფატიმა", „სხვისი შვილები".

— ჯერ კიდევ თბილისში გამომგზავრების წინ, — საუბარში ერევა განთქმული გერმანელი ანტიფაშისტი მწერლის ფრიდრიხ ვოლფის შვილი — კონრად ვოლფი, — საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ დანილოვმა გვირჩია, რომ საქართველოში ყოფნისას გვენახა ქართული ფილმი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი", რომელიც სამინისტროს თურმე განზრახული აქვს უჩვენოს კარლოვი ვარის საერთაშორისო და მინსკის საკავშირო კინოფესტივალებზე. ჩვენ ეს ფილმი კინოსტუდიის სხვა საინტერესო ფილმებთან „მტრობასთან" და „საპონელასთან" ერთად ვნახეთ და დავრწმუნდით მის ჭეშმარიტ კინემატოგრაფიულ ღირსებებში.

...ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება საქართველოში გატარებული ეს შესანიშნავი დღეები... მართალია ძალიან ცოტა ხანს ვიმყოფებოდით იმისათვის, რომ სრულყოფილად გაგვეგო საქართველო და ქართველები, მაგრამ ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თავდავიწყებით შეგვეყვარებინა თქვენი მშვენიერი ქვეყანა, თქვენი ლამაზი ხალხი და თქვენი საინტერესო კინოხელოვნება...

დ. გველესიანი.

* * *

სურათზე: გერმანელ და ქართველ კინომუშაკთა ჯგუფი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

მოსკოვის სცენაზე

ქ. ბუაჩიძის კომედია „გავიხსენოთ ჩვენი ახალგაზრდობა" („ამბავი სიყვარულისა") დასადგმელად მიიღო მოსკოვის დრამატულმა თეატრმა, სპექტაკლს დგამს რეჟისორი ო. რემეზი, მხატვარია სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ვინოგრადოვი.

ეს კ. ბუაჩიძის მეორე პიესაა, რომელიც დაიდგმება რუსულ სცენაზე; პირველი — „პროვინციელი ქალიშვილი" („მკაცრი ქალიშვილები") უკვე ხუთი წელიწადია წარმატებით მიდის მოსკოვის დრამატულ თეატრში.

„მკაცრი ქალიშვილები" ალბანეთში

ამ რამდენიმე ხნის წინათ კიტა ბუაჩიძის კომედია „მკაცრი ქალიშვილები" დადგა ალბანეთის ქ. დურესის ალ. მოისის სახელობის დრამატულმა თეატრმა.

სპექტაკლის დამდგმელს, რეჟისორ პანაიტ კოლოს განზრახული აქვს დადგას ამავე ავტორის მეორე პიესა — „ეზოში ავი ძაღლია".



ო. ტროიანესკუ,
საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში,

★

საჭადრაკო მატჩი ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის შეიძლება გამოყენებულ იქნას და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ჩვენი მეგობრული ხალხები უფრო ახლოს გაეცნონ ერთმანეთს, გააძლიერონ კულტურული ურთიერთობა.

ეს ფიქრები მაღელვებდა იმ მომენტში, როცა თბილისში მოვდიოდით.

როგორც საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში, ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, სულ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს შევხვედრივარ და მისარგებლია მათი სტუმართმოყვარეობით.

თავიდანვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მიღება, რომელიც რუმინელ მოჭადრაკეებს თბილისში მოგვიწყეს, ყურადღება, რომლითაც გარემოსილი ვიყავით ჩვენი აქ ყოფნის დროს, მეგობრობა, რომელსაც ჩვენ მიმართ იჩენდნენ ყოველ ნაბიჯზე, აღემატება ყველაფერს, რაც აქამდე მინახავს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მქონდა გაგონილი და წაკითხული თბილისის შესახებ, ქალაქმა ჩვენზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივი სტილის თავისი მონუმენტური არქიტექტურით, მშვენიერი პარკებით, შესანიშნავი განიერი და ლამაზი პროსპექტებით.

თბილისი დღითიდღე იზრდება. ქალაქის ახალი რაიონები — ვაკე, საბურთალო მკაფიო დადასტურებაა ქართველი ხალხის დიდი სიყვარულისა თავისი დედაქალაქისადმი, რომელიც წლითიწლობით, სულ უფრო ლამაზი ხდება.

როგორც ექიმმა-ქირურგმა დავათვალიერე საავადმყოფო-პოლიკლინიკა თბილისში. ვიყავი უროლოგიურ-ქირურგიულ განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი ა. წულუკიძე.

აქ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო კლინიკამ, რომელსაც ეს გამოჩენილი პროფესორი ხელმძღვანელობს და რომელიც მოწყობილია ყველაფრით, რასაც კი თანამედროვე კლინიკა მოითხოვს, არამედ განსაკუთრებით საინტერესო საუბარმა ამ მეცნიერთან, რომელიც შეეხო უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებსაც მისი კლინიკა იკვლევს.

ჩვენ აგრეთვე ვინახულეთ კულტურის ზოგიერთი ძეგლი, მაგალითად, ძველი მონასტერი სვეტი-ცხოველი მცხეთაში, ი. ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი საგურამოში. ეს სახლი-მუზეუმი იმის მკაფიო დადასტურებაა, თუ როგორ პატივს სცემს ქართველი ხალხი თავისი დიდი შვილის — თავისუფლებისა და სამართლისათვის მებრძოლის ხსოვნას.

როცა შევიტყეთ, როგორ იბრძოდა ი. ჭავჭავაძე კეთილშობილური საქმისათვის და ვნახეთ ქართველი ხალხის წარმატებანი, მივხვდით, რომ ამ დიდი ადამიანის მსხვერპლს ამაოდ არ ჩაუვლია, რადგან დღეს ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახში თავის ნათელ მომავალს აშენებს.

რამდენიმე დღემ, რაც მშვენიერ თბილისში გავატარეთ, მალე განვლო, და ჩვენ ვწუხვართ, რომ დადგა განშორების ჟამი. ეს განშორება მხოლოდ ფიზიკურია, ვინაიდან თან მიგვყვება საუკეთესო მოგონებანი შესანიშნავ ხალხზე, რომელსაც არასოდეს არ დავივიწყებთ და რომელთანაც ამიერიდან დაკავშირებული ვიქნებით სულ უფრო მჭიდრო ძმობით.

ინტერესს მოკლებული არ არის ჩვენი აზრი საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდზე, რომელსაც ვეჯიბრებოდით.

სხვადასხვა მუზეუმების ნახვამ, მთაწმინდაზე ასვლამ, სადაც დადგმულია საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი სატელევიზიო კოშკი, სასპორტო შეჯიბრებებზე დასწრებამ, როგორიც იყო, მაგალითად, კალათბურთში შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის, თბილისში ჩვენი ყოფნა ძალიან სასიამოვნო, მრავალფეროვანი და საგულისხმო გახადა.

ამ გუნდში, რომელმაც საბჭოთა კავშირის უკანასკნელ სპარტაკიადაში მეოთხე-მეხუთე ადგილი დაიკავა, შედიან ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან გურგენიძე, ბუსლაევი, გაფრინდაშვილი და სხვები. ეს ახალგაზრდა გუნდია, რომელსაც კიდევ დიდი მომავალი აქვს.

ოსტატი გურგენიძე ცნობილია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. მას ახასიათებს ღრმა შინაარსიანი თამაში, სადაც ხშირია ტაქტიკური სიურპრიზები, რომლებიც თავს იჩენენ ბრწყინვალე კომბინაციებში. ასევე შეიძლება ითქვას ბუსლაევზე, შიშოვზე და სხვ.

ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ ქართველი მოჭადრაკე ქალები. მათი თამაში მაღალი ევროპული კლასისაა, და ისინი უეჭველად მნიშვნელოვან სიტყვას იტყვიან მომავალ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელიც თბილისში გაიმართება. განსაკუთრებით მოგვეწონა ახალგაზრდა მოჭადრაკის გაფრინდაშვილის ზუსტი და ღრმა თამაში და კაკაბაძის დიდი მისწრაფება გამარჯვებისადმი.

რაც შეეხება საჭადრაკო მოძრაობას რუმინეთში, მიუხედავად იმისა, რომ იგი შედარებით ახალია, მას უკვე აქვს მთელი რიგი როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი წარმატებანი, განსაკუთრებით სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ. ჩვენმა ოსტატებმა მოიპოვეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამარჯვებანი. რუმინეთის გუნდმა საჭადრაკო ოლიმპიადაზე მოსკოვში 1956 წელს მე-9 ადგილი დაიკავა 36 მონაწილე ქვეყნიდან.

ჩვენმა გუნდმა, რომელიც თბილისში წარმოდგენილი იყო არასრული შემადგენლობით (არ მონაწილეობდნენ საუკეთესო მოჭადრაკეები ჩიოკილტეა, მიტიტელუ და სხვ.), ბევრი რამ საგულისხმო მიიღო ქართველ მოჭადრაკეებთან შეხვედრაში.

საერთოდ თამაში შინაარსიანი იყო და მოგვცა დიდი ღირებულების ბევრი პარტია. ეს ფაქტი და განსაკუთრებით გულითადი მიღება, რომელიც აქ აღმოგვიჩინეს, სტიმულს გვაძლევს გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შეგვიძლია, იმისათვის, რომ ეს შეხვედრები ტრადიციული გახდეს და კიდევ უფრო გაფართოვდეს ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ქართველ ხალხსა და რუმინელ ხალხს შორის არსებობს.

ასე იქცევიან საბჭოთა ადამიანები

ცხაკაიას რაიონის ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშის გუგუ ბესელიას სახლს, რომელიც ნოსირის სადგურის ახლოს მდებარეობს, ხანძარი გაუჩნდა. თვით სახლის პატრონი გ. ბესელია სამუშაოზე იყო ქარხანაში. ცეცხლი შენიშნა ენერგომომარაგების სამტრედიის უბნის ცხაკაიას საკონტაქტო ქსელის № 7 დისტანციის ოსტატის გივი გამსახურდიას ბრიგადამ, რომელიც იქვე ახლოს რკინიგზის საკონტაქტო ქსელზე მიმდინარე სარევიზიო სამუშაოს აწარმოებდა. ხანძარგაჩენილ სახლთან სწრაფად მიირბინეს გ. გამსახურდიამ, გ. გვაზავამ, ჯ. გუდავამ, კ. ბოკერიამ, კ. დადიანმა, ა. ქავთარაძემ და გ. ლოჩოშვილმა.

კარი შიგნიდან ჩაკეტილი აღმოჩნდა. ერთ-ერთმა სახლის გვერდითა კედლის რამდენიმე ფიცარი ნაჯახით გამოაგდო. აქედან სწრაფად გამოიყვანეს გარეთ სამი წლის ბავშვი და ღრმად მოხუცი ქალი. მონტიორების აქტიური ბრძოლის შედეგად ყველა საოჯახო ნივთიც გადარჩა. ცეცხლი თუმცა თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ სასწრაფოდ იქნა ჩაქრობილი.

ბ. ძველაია.

საბავშვო კინოთეატრი

ზუგდიდი. (საქ. კორ.). ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა მიიღეს კიდევ ერთი შესანიშნავი საჩუქარი — საზეიმოდ გაიხსნა საბავშვო და ქრონიკალური ფილმების კინოთეატრი „ოქტომბერი“. იგი 200 მაყურებელს იტევს. პირველ დღეს ახალგაზრდებმა ნახეს კიევის კინოსტუდიის ნაწარმოები — საბავშვო მხატვრული ფილმი „ბიჭები“.



სოხუმი. ქალაქის და სოხუმის ყურეს ხედი.
ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ადენაუერი პარიზს ჩავიდა

პარიზი, 14 მაისი. (საქდესი). დღეს აქ ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი, რომელსაც ახლავან საგარეო საქმეთა მინისტრი ბრენტანო და დასავლეთ გერმანიის ელჩი შეერთებულ შტატებში გრევე. როგორც სააგენტოები იუწყებიან, ადენაუერი მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ დე გოლთან, პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან და პრემიერ-მინისტრ მაკმილანთან ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის დაწყებამდე.

სტივენსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 13 მაისი. (საქდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო ჩიკაგოდან იუწყება, რომ საერთაშორისო საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ედლაი სტივენსონმა განაცხადა: „ჩვენმა (ე. ი. ამერიკის. — **რედ**). მთავრობამ ამ უკანასკნელ ხანს იპოვა მსოფლიოში დაძაბულობის გაძლიერების რამდენიმე უტყუარი საშუალება“.

სტივენსონმა ხაზი გაუსვა, რომ ჯაშუშური თვითმფრინავის გაგზავნამ და იმის ლაპარაკმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ ცალმხრივი წესით განაახლონ ატომური იარაღის გამოცდა, „საეჭვოა ხელი შეუწყოს იმას, რომ ამაღლდეს ჩვენი რეპუტაცია როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამცველისა“.

საერთაშორისო ცხოვრება
დეპეშები ცნობები მიმოხილვა

დანიელები ნათელ პასუხს მოითხოვენ

კოპენჰაგენი, 13 მაისი. (საქდესი). სპეციალურ სტატიაში „რა იცის დანიის მთავრობამ ჯაშუშობის შესახებ დანიის სამხედრო ბაზებიდან“ გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“, კერძოდ, წერს: „ჩვენ, დანიელებმა, უნდა მოვითხოვოთ ნათელი პასუხი, მოსთხოვა თუ არა დანიის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას კონკრეტული ცნობები ამერიკის თვითმფრინავების მოქმედების შესახებ, რომლებიც დაფრინავენ და ჯდებიან დანიის აეროდრომებზე. საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ, მიიღო თუ არა დანიის მთავრობამ შესაბამისი ღონისძიებანი, რათა დარწმუნებულიყო მიღებული ცნობების სისწორეში“.

მოწოდება სიფხიზლისაკენ

კოლომბო, 13 მაისი. (საქდესი). კომენტარს უკეთებს რა მომავალ მოლაპარაკებას უმაღლეს დონეზე და ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის ინციდენტს, რომელმაც დაარღვია სსრ კავშირის საჰაერო სივრცე, გაზეთი „ფორვარდი“ წერს:

„უმაღლესი დონის პარიზის მოლაპარაკებას პირდაპირი და სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ადამიანისათვის. მოლაპარაკება არის აგრეთვე ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის კონფერენციის დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება. მაგრამ იმპერიალიზმის ძალებს არა სურთ უარი თქვან ომზე, როგორც პოლიტიკის განხორციელების საშუალებაზე, არა სურთ უარი თქვან ატომგულის იარაღზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი კაცობრიობას ემუქრება სრული მოსპობით“.

ჯაშუშური თვითმფრინავის ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რაც წამოწყებული იყო იმის ცდით, რომ ჩაეშალათ უმაღლესი დონის თათბირი, აღნიშნავს გაზეთი, ცხადყოფს, თუ „რამდენად ფარისევლურია სახელმწიფო დეპარტამენტის მტკიცება მისი მშვიდობიანი განზრახვების შესახებ, აგრეთვე, რა შორს აპირებენ წასვლას მსხვილი კაპიტალის ზოგიერთი წრეები და შეერთებული შტატების სამხედრო წრეები, რათა არ დაუშვან საერთაშორისო დაძაბულობის შენელება“.

„ის ფაქტი, რომ ეს თვითმფრინავი აფრინდა პაკისტანიდან და უნდა დამჯდარიყო ნორვეგიაში, — განაგრძობს „ფორვარდი“, — ამტკიცებს, რომ ამერიკის სამხედრო ბაზებს საზღვარგარეთ ჯაშუშობისათვის იყენებენ...

ხოლო ის, რომ ინციდენტი მოხდა უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებამდე ორ კვირაზე უფრო ნაკლები ხნით ადრე, განამტკიცებს რწმენას, რომ იგი განზრახ იყო მომზადებული ამ მოლაპარაკების ჩაშლის მიზნით“.

გაზეთი მოუწოდებს მსოფლიოს ხალხებს სიფხიზლისაკენ აგრესიული ხრიკების წინაშე.

მდგომარეობა თურქეთში

ანკარა, 13 მაისი. (საქდესი). მთავრობის საწინააღმდეგო დიდი გამოსვლების შემდეგ, რაც მოიწყო თურქეთის მთელ რიგ ქალაქებში, თურქეთში კვლავ მოქმედებს კანონი საგანგებო წესების შესახებ. სამხედრო სასამართლოებში გრძელდება გამოძიება მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს დაპატიმრებულ სტუდენტთა საქმეზე.

ამ ბოლო დროს სტამბოლსა და ანკარაში ფარულად ავრცელებენ ამასწინანდელი მღელვარებისადმი მიძღვნილ ფურცლებს, მათ შორის ანგარიშს სტუდენტთა 29 აპრილის დემონსტრაციის შესახებ ანკარაში და კამათის შესახებ მეჯლისში საგანგებო წესების შემოღების საკითხზე, აგრეთვე ოპოზიციის ხელმძღვანელ მოღვაწეთა განცხადებებს.

ანკარაში გამოქვეყნდა მეჯლისის გამოძიების საგანგებო კომისიის კომუნიკე, რომელშიც კომისია „ერთხელ კიდევ იძლევა სასტიკ გაფრთხილებას, რომ კატეგორიულად აკრძალულია ამგვარი მასალების გამრავლება, გავრცელება, წაკითხვა, ტარება და ხელიდან ხელში გადაცემა“.

სტამბოლის სამხედრო ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ „ის პირები, ვინც დამალავს ფურცლებს, რომლებიც მოუწოდებენ არ დაემორჩილონ არსებულ კანონებს, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული საგანგებო წესების კანონის მიხედვით“.

საბჭოთა მოღვაწეები — ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის საპატიო წევრები

ნიუ-იორკი, 13 მაისი. (საქდესი). ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიამ თავისი წლიურ სესიაზე ბრუკლაინში (მასაჩუზეტსის შტატი) აკადემიის საპატიო წევრებად აირჩია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ნ. ნ. ბოგოლუბოვი, ლ. დ. ლანდაუ, ლ. ი. სედოვი. აკადემიის საპატიო წევრად არჩეულია სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ს. ულანოვა.

ჯაშუშური ბიზნესი

ლონდონი, 13 მაისი. (საქდესი). ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი მაიკლ ფუტი გაზეთ „დეილი ჰერალდის“ ფურცლებზე მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი კვლავაც აპირებენ განაგრძონ სადაზვერვო ფრენა საბჭოთა ტერიტორიაზე.

„მთელ ამ ჯაშუშურ ბიზნესს, — წერს ფუტი, — შეიძლება მოჰყვეს ატომური კატასტროფა. სულ რამდენიმე თვის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კრისტიან ჰერტერი გვაფრთხილებდა „შეცდომის შედეგად ომის“ საშიშროების შესახებ. მაგრამ ამ კვირაში იგივე ჰერტერი, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სრული მხარდაჭერით, აცხადებს, რომ საბჭოთა ტერიტორიაზე ჯაშუშური ფრენის პრაქტიკა, მთელი რისკით და „შეცდომის საშიშროებით“, რასთანაც იგი დაკავშირებულია, გაგრძელდება. ეს ერთი ყველაზე არაჩვეულებრივი განცხადებაა დიპლომატიის ისტორიასა და ჯაშუშობის ისტორიაში. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ეს ფრენა უკანონოა და ნაწილობრივ ეწყობა იმ ბაზებიდან, რომლებიც განლაგებულია ქვეყნებში, რომლებსაც შეერთებული შტატები არ მართავენ“.

მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა ეუფლება საბალეტო ხელოვნებას თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

სურათზე: გამოსაშვები ჯგუფის მოსწავლეები ირინე საევიჩი და გივი მეფარიშვილი ასრულებენ ქორეოგრაფიულ ეტიუდს.

ფოტო ო. არობელიძისა და შ. ჩხეტიანისა.

ქართველი მოცეკვავეები ამერიკაში

უპრეცედენტო ოვაციით

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციაში წერილი მოვიდა ამერიკიდან. წერილში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ნათქვამია:

„საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილი ყოველი მხატვრული კოლექტივის წარმატება საბჭოთა ხელოვნების წარმატებაა, და ჩვენი მთავარი მიზანია მაღლა გვეჭიროს მშობლიური ხელოვნების სახელი და ღირსება... დღემდე ოცდაათამდე კონცერტი გავმართეთ შეერთებული შტატების თითქმის ყველა დიდ ქალაქში. კონცერტებს 200 ათასამდე კაცი დაესწრო... ყველანი კარგად ვართ.

წერილთან ერთად რედაქციამ მიიღო პიტსბურგის, დეტროიტის, ჩიკაგოსა და დე მოინის გაზეთები, რომლებშიც დაბეჭდილია რეცენზიები საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ რეცენზენტებს ბევრი რამ სწორად არ ესმით, ხოლო ზოგჯერ ამახინჯებენ ზოგიერთ ამბავს, ისინი საერთო აღტაცებას მაინც ვერ ფარავენ და მაღალ შეფასებას აძლევენ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას, ქართველ მოცეკვავეთა ოსტატობას.

„ქართულ ცეკვას რამდენიმე ისეთი ნიშანთვისება აქვს, რასაც მსოფლიო ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ვერსად ვერ აღმოაჩენთ“, წერს გაზეთი „პიტსბურგ პრესი“ წერილში „ცეკვა მკაცრ ისტორიას ასახავს“. რეცენზენტი ქართული ცეკვის მოხდენილობას, ვაჟკაცურობასა და მებრძოლ სულს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას უკავშირებს. იმავე „პიტსბურგ პრესის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია რეცენზია „ქართველები მაგიურად ცეკვავენ“. რეცენზენტი დადებითად აფასებს ჩვენს ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურულ ურთიერთობას და წერს: „ქართველები საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არც დავიჯერებდი თუ ასე შეიძლებოდა ეცეკვა ადამიანებს...

ასეთ კულტურულ გაცვლას სულით და გულით მივესალმებით“.

„მაყურებლები ნასიამოვნები არიან წარმტაცი საღამოთი. ქართველი მოცეკვავენი შესანიშნავნი არიან“, ასე ეწოდება წერილს, რომელიც დაბეჭდილია „**პიტსბურგ პოსტ-გაზეთში**“. ასეთ დასში ცალკეული ვარსკვლავები არ არსებობენ, თვითეული მოცეკვავე ნამდვილი მსახიობია, ამ სიტყვის უმაღლესი აზრით.

რეცენზენტი გაზეთ „**ჩიკაგო სან-ტაიმსში**“ წერს: „იმ დროიდან მოკიდებული, რაც რუსებმა ჩვენში მოისეევის მოცეკვავეები გამოგზავნეს, ოპერის სცენას არ უნახავს ისეთი მღელვარება, როგორც გუშინ — ქართველების კონცერტის დროს“.

„**ჩიკაგო დეილი ნიუსში**“ დაბეჭდილია ანსამბლის წევრის ომარ მხეიძის მოზრდილი სურათი, რომელსაც ამერიკული პრესისათვის დამახასიათებელი რამდენადმე უცნაური, მუვირალა წარწერა აქვს. „არა, ომარ მხეიძე კოსმოსში პირველ კაცად გახდომას არ ცდილობს — ნათქვამია წარწერაში — ის მხოლოდ საბალეტო ნომერს ასრულებს“...

„მოცეკვავეებმა დინჯი აიოველები სავარძლებიდან წამორეკეს“, ასეთი სათაურით დაიბეჭდა წერილი გაზეთ „**დე მოინ რეჯისტერში**“.

„თეატრალურ ბიზნესში აღიარებულ ფაქტად ითვლება, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი, — რომ აიოვას დედაქალაქი დე მოინი მკვდარი ქალაქია, როგორც ფართოდ არის ცნობილი, დემოინელები ყველაზე თავშეკავებულ მოწონებასაც კი თავის ოდნავი დაქნევით გამოხატავენ.

მაგრამ აი რა მოხდა.

საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეებმა უდიდესი, ადამიანთა ხსოვნაში უპრეცედენტო ოვაცია მოიპოვეს 2.200 კაცისა, რომელთაც ამის მსგავსი არაფერი ახსოვთ უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში“.

ქართველ მოცეკვავეთა წარმატება კანადაში

ტორონტო, 14 მაისი. საქდესის კორესპონდენტი ა. ქიგულიოვი იუწყება: დაახლოებით 5.000 მაყურებელი შეიკრიბა დახურული სტადიონის „ნეკერჩხის ფოთლის“ დარბაზში ქალაქ ტორონტოში, სადაც გაიმართა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის პირველი კონცერტი. გაისმის კანადისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. მქუხარე ტაშს იწვევდა კონცერტის პროგრამის ყველა ნომერი. აღტაცებით შეხვდნენ ტემპერამენტიან და გრაციით აღსავსე ცეკვებს, ლაღ სახუმარო საცეკვაო სურათებსა და ლირიკულ ფერხულებს. კანადელებს განსაკუთრებით მოეწონათ მხედართა ცეკვა და „ქართული სიუიტა“. კონცერტის დასასრულს საბჭოთა მსახიობებს მქუხარე ოვაცია მოუწყეს.

დიდი წარმატებით ჩაიარა ანსამბლის გამოსვლებმა კანადის დასავლეთ სანაპიროზე ქალაქ ვანკუვერშიც, საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. სუხიშვილმა. ჩვენ იქ ორი კონცერტი უნდა გაგვემართა. მაგრამ საზოგადოების დაჟინებით იმ დღეს, რომელიც განკუთვნილი იყო დასვენებისათვის, მესამე კონცერტი მოვაწყეთ. როცა ვანკუვერიდან მივემგზავრებოდით, ბევრი ამბობდა: „ჩამოდით ჩვენში კიდევ“, „გადაეცით, რომ უფრო ხშირად გზავნიდნენ ჩვენთან საბჭოთა მსახიობებს“.

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლი კიდევ ორ კონცერტს გამართავს ტორონტოში და შემდეგ მონრეალში გამოვა.

სპორტი

ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა ტურნირი

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირის მეორე ტური.

ოსტატმა გ. ბასტრიკოვმა (სვერდლოვსკი) დაამარცხა ოსტატობის კანდიდატი ა. არუთინოვი (ბაქო). თბილისელი მოჭადრაკეების — ოსტატ ა. ბუსლაევისა და ოსტატობის კანდიდატ დ. ჯანოევის პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგები იქნა ფიქსირებული ა. ბლაგიძე (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი) — დ. როვნერის (ლენინგრადი, ოსტატი), ა. სარქისიან (კიროვაკანი, ოსტატობის კანდიდატი) — ე. სტოლიაროვისა (ლენინგრადი, ოსტატი) და ლ. ლისტენგარტენ (ბაქო, ოსტატობის კანდიდატი) — ლ. არონსონის (ლენინგრადი, ოსტატი) პარტიებში. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ჩემპიონატი ნიჩბოსნობაში

ორი დღეა „თბილისის ზღვაზე“ მიმდინარეობს საქართველოს 1960 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში გამოდიან თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთისა და მცხეთის გუნდები.

ველორბოლა რთულ ტრასაზე

დამთავრდა საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლა.

პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად სასპორტო საზოგადოებების — „კოლმეურნის“, „დინამოსა“ და „სპარტაკის“ გუნდებს შორის მიმდინარეობდა და გუნდური ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა.

პირად ჩათვლაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბურევესტნიკის“ ველომრბოლელმა ე. ბირიუკოვმა. გასული წლის ჩემპიონი ვ. სიკორსკი („კოლმეურნე“) მეორე ადგილზე გამოვიდა.

მატჩები მინსკსა და ვილნიუსში

მინსკი, 14 მაისი. აქ გაიმართა „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფის გუნდების — მინსკის „ბელარუსისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. მინსკელმა ფეხბურთელებმა პირველი დამარცხება განიცადეს. მათ წააგეს მატჩი ანგარიშით 0:2.

ვილნიუსი. 14 მაისი. საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის შეხვედრა ვილნიუსის „სპარტაკისა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელთა კოლექტივებმა გამართეს ვილნიუსში. მატჩის შედეგია 3:0 „ნეფტიანიკის“ სასარგებლოდ.

სასამართლოს დარბაზიდან

ღირსეული სასჯელი

სამუშაო დღე მიიწურა. დღესაც დაიგვიანა თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის საფოსტო განყოფილების სტელეფონო ქვესადგურის მორიგემ რასულ ეიდარ ოღლიმ. მან არხეინად შეაბიჯა საფოსტო განყოფილების გამგის მამედ კასუმ დურსუნის-ძე ჯალილოვის კაბინეტში.

— რა დაგემართა, რა მოხდა? თითქმის ყოველდღე იგვიანებ, დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებ, — უთხრა ჯალილოვმა.

— დღესაც გინდა საყვედურებით ამავსო? წადი, კიდევ მიჩივლე კავშირგაბმულობის თელავის-რაიკანტორაში, კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან. შენი აღსასრულის დღე უკვე დადგა.

რასულ ეიდარ ოღლიმ შარვლის ჯიბეზე ხელი გაიკრა. ორჯერ გაისმა ნაგანის სროლის ხმა. კასუმ ჯალილოვი უსულოდ დაეცა.

— ეს ხომ გამოვასალმე სიცოცხლეს. ჯერი ახლა გულო სივიევასა და მის ქმარ ბაიზადა ნაბიევზეა. ვუჩვენებ მათ სეირს, გულოს ვანანებ უარს — მთელი სოფლის თვალწინ ლაფი გადამასხა, ბაიზადა ნაბიევი მამჯობინა. ვნახოთ!

რამდენიმე წუთში რასულ ეიდარ ოღლი ნაბიევის სახლთან გაჩნდა. მთელი დღის ნაჯაფარ ხალხს მშვიდად ეძინა. მკვლელმა კიბესთან ფრთხილად გაიძრო ფეხსაცმელი და ქურდულად შეიპარა მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში, სადაც ეძინათ ბაიზადა ნაბიევს და მის ცოლს გულოს. ბოროტმოქმედმა რევოლვერის სამჯერ გასროლით მოკლა მძინარე ბაიზადა ნაბიევი და ერთი გასროლით მძიმედ დაჭრა გულო სივიევა.

ხმაურზე სოფელი ფეხზე დადგა. რასულ ეიდარ ოღლი მილიციის მუშაკებმა სოფლის ბოლოში შეიპყრეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში საჯარო სხდომაზე ი. გოგაშვილის თავმჯდომარეობით განიხილა რასულ ეიდარ ოღლის საქმე. მკვლელ რასულ ეიდარ ოღლის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

15 მაისი



თეატრები: ოპერისა და ბალეტის — — გორდა (დღისით) აიდა (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ამბავი სიყვარულისა (დღისით), ყვარყვარე თუთაბერი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლხეთის ცისკარი (დღისით), ჩემი ყვავილეთი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მესამე პათეტიკური (დღისით და საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — ჯაჭვიანი გული.

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.20 — ახალი ნახატი ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი“, 13.30 — თბილისის მე-10 მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა კონცერტი, 14.00 — უცხო ენის შემსწავლელთათვის — ინგლისური ენის გაკვეთილი. 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალფონს დოდე (დაბადების 120 წლისთავის გამო), 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — კონცერტი სტოკოვსკის დირიჟორობით, 20.50 — ახალი მხატვრული ფილმი „შავზღველი გოგონა“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღებისა — 3-64-42.

უე 02731 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.